მიჩვენეთ სადმე აჭარისთანა სხვა რომელიმე კუთხე ახალი

გალაკტიონი

სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 13 (269). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 9 ივლისი



განახლებული აჭარა

50 წელიწადი! აჭარის რესპუბლიკის მშრომელთა 50 სიხარულის გაზაფხული!

ეს 50 წელიწადი მტარვალთა ხელით საუკუნეების მანძილზე აოხრებული ქვეყნის აღდგენისა და შენების წლებია, შეძლებული ცხოვრებისა და თავისუფალი შრომის წლები.

სადღაა ის დრო, აჭარელი გლეხი ლუკმაპურისათვის ცხრა მთას რომ გადაივლიდა, აბობოქრებულ სტიქიას შეებრძოლებოდა, უკან კი ხშირად ხელცარიელი ბრუნდებოდა ან საერთოდ ველარ უბრუნდებოდა ოჯახს.


სხივნათელი და სვებედნიერია დღეს აჭარაში ყოველი ოჯახი. ჭრაქსა და კვარს არ ეძებენ სიბნელის გასანათებლად. წერილს ჯიბით აღარ ატარებენ, იქნებ ვინმე წერა-კითხვის მცოდნე შემხვდესო. ქვეყნის ამბის გასაგებად არავის შეაჩერებენ, მეზობლებთან აღარ გადავლენ ფქვილისა და მარილის სასესხებლად. ოჯახში, სიკეთითა და ბედნიერებით სავსე ოჯახში, აქვთ ყველაფერი. ჟურნალ-გაზეთებიც შინ მოსდით, რადიოც შინა აქვთ, ტელევიზორიც და სინათლეც. ვერ ნახავთ ოჯახს, ერთი უმაღლესდამთავრებული მაინც არ ჰყავდეს! წერა-კითხვის უცოდინარ კაცს, სანთლით რომ ეძებო, ყველაზე შორეულ სოფელშიც ვეღარ წააწყდებით.


აჭარის მშრომელთა დღევანდელობა ნათელი სურათია იმ ბედნიერი ცხოვრებისა, რომელიც დიდმა ოქტომბერმა მოგვიტანა.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოგითხრობთ საქართველოს თვალმარგალიტზე — მზიურ აჭარაზე, მის შესანიშნავ ადამიანებზე, მის სიმდიდრესა და სიკეთეზე.










სურათებზე: თბომავალი „საქართველო" ბათუმის ნავსადგურში; სოციალისტური შრომის გმირი ქეთევან გოგიტიძე; ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა; კოლონადა ზღვისპირა პარკში.

საბჭოთა აჭარის 50 წელი



დავით დიასამიძე

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საქართველო ზემითი აღნიშნავს საბჭოთა აჭარის 50 წლისთავს. 1921 წელი სამუდამოდ შევა ჩვენი ხალხის ისტორიაში როგორც დიდი ბედნიერების დასაწყისი — 18 მარტს აჭარაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო 16 ივლისს შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ისე, როგორც მთელი საქართველო, აჭარაც ხშირად განიცდიდა უცხოელ დამპყრობთა შემოსევას. მათ შორის ყველაზე მძიმე იყო ოსმალთა სამასწლიანი ბატონობა აჭარაში. მე-16 საუკუნეში სულთანის თურქეთმა საქართველოს, სხვა კუთხეებთან ერთად, აჭარაც წაგლიჯა. დამპყრობლებმა დიდი ზიანი მიაყენეს აჭარის ეკონომიკასა და კულტურას. ისინი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ქართული კულტურის კერებს, ხუროთმოძღვრების ნიმუშებს, სპობდნენ ყოველივე ქართულს. მათ აჭარის მოსახლეობას ძალით მიაღებინეს ისლამის სარწმუნოება. ამასთან სურდათ მოეხდინათ აჭარის ქართველი მოსახლეობის სრული ასიმილაცია. მაგრამ ვერც ძალადობამ და ვერც ისლამის ფანატიზმმა ვერ შეარყია აჭარელთა სიყვარული თავისი დედასამშობლოს — საქართველოსადმი. აჭარამ საუკუნეებში გამოატარა და მტკიცედ შეინარჩუნა ქართული ენა, ქართული კულტურა, მამაპაპური ზნე-ჩვეულება.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში აჭარის ბევრმა მკვიდრმა დადო თავი. როდესაც სელიმ ხიმშიაშვილს სულთანის ჯალათები თავს ჰკვეთდნენ, მას უთქვამს — მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩებაო!

ოსმალთა ბატონობისაგან აჭარა განთავისუფლდა 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად. მოისპო ისტორიული უსამართლობა, ძალით მოტაცებული აჭარა კვლავ დაუბრუნდა თავის დედასამშობლოს — საქართველოს. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრივ შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირსსახსოვარია. ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.

და მაინც ნამდვილ ბედნიერებას აჭარა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეზიარა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, 16 მარტს კი რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დაიდო მეგობრობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად თურქეთმა საბოლოოდ ცნო აჭარა საქართველოს შემადგენელ ნაწილად. ოთხი თვის შემდეგ აჭარას მიეცა ავტონომია. ეს გაპირობებული იყო არა ეროვნული, არამედ ისტორიულ-პოლიტიკური მოტივებით, იმით, რომ ოსმალთა სამასწლიანი ბატონობის შედეგად აჭარა ეკონომიურად და კულტურულად დიდად ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა კუთხეებს და მას ესაჭიროებოდა განსაკუთრებული ყურადღება და დახმარება.

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. ამ პერიოდში აჭარაში, ისე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მოხდა უდიდესი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული გარდაქმნები. აი რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რანი ვიყავით და რანი ვართ დღეს:

1921 წელს აჭარაში სულ იყო 31 წვრილი სამრეწველო საწარმო. წვრილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებას სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ჩაის პლანტაციებს ეჭირა მხოლოდ 914 ჰექტარი, ციტრუსებს — 262 ჰექტარი, სუსტად იყო განვითარებული მებაღეობა, მეთამბაქოეობა, მეცხოველეობა.

ძალიან დაბალი იყო მოსახლეობის კულტურული დონე. 1921 წელს მხოლოდ 1 პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა. არ გვყავდა სპეციალისტები უმაღლესი განათლებით. საშუალო განათლებით თითო-ოროლა კაცი თუ მოიძებნებოდა. მთელ აჭარაში იყო 38 სკოლა 2920 მოსწავლით. სოფლად არ არსებობდა კულტურის არც ერთი დაწესებულება.

ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის გარდა, აჭარის მოსახლეობას ტანჯავდა პოლიტიკური უუფლებობა და სოციალური უსამართლობა. საზოგადოებაში ბატონობდნენ კაპიტალისტები, მემამულეები, აღაბეგები, ხოჯა-მოლები.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოკლე ისტორიულ ვადაში დასძლია ყველა ეს ჩამორჩენილობა.

დიდად განვითარდა აჭარის მრეწველობა. აჭარის სამრეწველო საწარმოები, რომელთა რიცხვი ახლა 81-ს შეადგენს, შეიარაღებულია თანამედროვე ტექნიკით და უშვებს მრავალი დასახელების პროდუქციას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში აშენდა ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი, მანქანათაშენებელი, გემსაშენო, სარეცხი მანქანების, ელექტროხელსაწყოების, ელექტრომექანიკური, ტყავის, კოფეინის, ღვინის, რძის, ტუნგის, ხილეული წყლებისა და ლუდის, ქიმიური და სხვა ქარხნები, პურის კომბინატი, ხორცკომბინატი, ციტრუსკომბინატი, ხის დამმუშავებელი კომბინატი, სამკერვალო საწარმოო გაერთიანება, თამბაქოს, ფეხსაცმლის, ავეჯის, საშაქარლამო და სხვა ფაბრიკები.

ჩაის კულტურის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით აჭარაში აშენდა ჩაის 12 ახალი ფაბრიკა და ახლა მათი რაოდენობა 14-ია. ყოველივე ამან ერთობ გაზარდა სამრეწველო წარმოება, რომლის მოცულობა 1921 წელთან შეფარდებით 1970 წელს 256-ჯერ გადიდდა. აჭარის სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქცია ცნობილია არამარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც.

ფრიად განვითარდა აჭარის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ახლა 163 კოლმეურნეობა და 18 საბჭოთა მეურნეობა სამშობლოს აძლევს დიდი რაოდენობით მაღალხარისხოვან ჩაის, ციტრუსებს, თამბაქოს, ყურძენს, მეცხოველეობის პროდუქტებს. ჩაის ჩვენთან 6096, ხოლო ციტრუსებს ← 6000-მდე ჰექტარი ფართობი უჭირავს. 1970 წელს აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს — სახელმწიფოს მიჰყიდეს 39,341 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 81 ათასი ტონა ციტრუსი, 2840 ტონა ხმელი თამბაქო...

დიდი ღონისძიებები განხორციელდა მოსახლეობის სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში. ახლა აჭარის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს 241 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება, 3660 ექიმი და ექიმის თანაშემწე ემსახურება. საგრძნობლად გაფართოვდა მოსახლეობის დასვენების კერები. ამჟამად აჭარაში არის 17 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და ტურბაზა.

აჭარის მშრომელებს დიდი სიკეთე მოუტანა კულტურულმა რევოლუციამ. განათლებისა და კულტურული დონის მხრივ აჭარა საქართველოს ერთერთ მოწინავე კუთხედ იქცა. დღეს აჭარაში მოქმედებს 436 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. სპეციალისტთა ახალი კადრების მომზადებას ემსახურება ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალი, 8 საშუალო სპეციალური სასწავლებელი, რომლებშიც, დაუსწრებლების ჩათვლით, 4170 კაცი სწავლობს. სულ აჭარის სკოლებსა და სასწავლებლებში 76 ათასი ახალგაზრდა, ანუ ყოველი მეოთხე მოქალაქე ეუფლება ცოდნას.

ამჟამად აჭარაში უმაღლესი განათლება აქვს 13.248 კაცს. 9 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მუშაობს 273 მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 8 მეცნიერებათა დოქტორი და 91 მეცნიერებათა კანდიდატი.


ნაყოფიერად მუშაობენ ცნობილი მეცნიერები: აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე, მეცნიერებათა დოქტორები გიორგი ხეჩინაშვილი, შოთა ქემხაძე, ევგენი მგალობლიშვილი, ნადიმ ნიჟარაძე, პარმენ ცქვიტარია, ჯუმბერ გაბუნია და სხვები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდად განვითარდა მხატვრული ლიტერატურა და სახვითი ხელოვნება. ჩვენმა მწერლებმა და მხატვრებმა გამოსცეს 50 წლის მანძილზე ბევრი საინტერესო მხატვრული ნაწარმოები, შექმნეს, რომლებშიც ფართოდ არის ასახული აჭარის მშრომელთა ცხოვრება, მათი შრომა და დასვენება. მრავალი მხატვრული ნაწარმოების ავტორები არიან ქართველი მწერლები პარმენ ლორია, ნესტორ მალაზონია, ფრიდონ ხალვაში, მამია ვარშანიძე, გიორგი სალუქვაძე, ჯემალ ჯაყელი, შოთა როყვა, ზურაბ გორგილაძე, მხატვრები შოთა ხოლუაშვილი, მამედ ბოლქვაძე და სხვები.

აჭარაში ქართული საბჭოთა კულტურის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, სახელმწიფო ფილარმონიამ, ხალხური შემოქმედების საოლქო სახლმა, მუსიკალურმა სასწავლებელმა და სკოლებმა, რევოლუციისა და მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმებმა. ახლა აჭარაში არის 129 კლუბი, 201 მასობრივი ბიბლიოთეკა, 156 კინოთეატრი. ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ აჭართველოს სსრ სახალხო არტისტებს იუსუფ კობახიძეს, მერაბ ხინკიძეს, ნუნუ თეთრაძეს, აკაკი მგელაძესა და სხვებს.

ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის მოპოვებული წარმატებებისათვის აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. თავდადებული და ნაყოფიერი შრომისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 150-ზე მეტ კაცს.

აჭარის მშრომელები, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხი, დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით შეხვდნენ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს, რომელიც წლეულს მაისში აღინიშნა. ახლა კი აჭარის მთასა და ბარში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ღირსეულად ვიზეიმოთ აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 50 წლისთავი.



სურათზე: ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშათა ერთი ჯგუფი.

„როგორც საკუთარ ოჯახში“

„...დიდი მადლობა სტუმართმოყვარეობისათვის. არასოდეს დავივიწყებთ ასეთ კეთილ ადამიანებს. ვიმედოვნებთ, რომ გვეწვევით პარიზში, ხოლო ჩვენ ისევ ვესტუმრებით თქვენს მშვენიერ ქალაქს“.

ჟოზეფ და ვალენტინა კრომმორები (საფრანგეთი).

„ჩემი ყოფნა ბათუმში სასიამოვნო და საინტერესო იყო. განსაკუთრებით მოვიხიბლე ერუდირებული გიდებით“.

მარგალანტ გუტლერმო, სამართლის დოქტორი (მეხიკო).

„აქ თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ ოჯახში“...

პოლონელ დამსვენებელთა ჯგუფი.



სურათზე: ბათუმის სასტუმრო „ინტურისტი“.

ეი ასეთი გულწრფელი სტრიქონებით არის სავსე ბათუმის სასტუმრო „ინტურისტის“ შთაბეჭდილებათა წიგნი, რომლებიც სხვადასხვა ენაზე დაუწერიათ სტუმრებს. მათი სამშობლოა ინგლისი, ბელგია, იტალია, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, შვეცია, იაპონია, თურქეთი, პერუ, კოლუმბია, ინდოეთი, ფინეთი, ერაყი, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ნიგერია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა...

უცხოელებს მოსწონთ ბათუმის თვალწარმტაცი მიდამოები, სადაც წელიწადის ყოველ დროს ყვავილების სურნელება იფრქვევა. აქვე ლივლივებს შავი ზღვა და დაუდეგარი ტალღები სანაპიროს ეხლმუნება. ზემოთ საქართველოს ლაჟვარდოვანი ზეცა კრიალებს, კაშკაშებს ცხრათვალა მზე.

...წვიმაც თავისებურია ჩვენს ქალაქში: უეცრად მოვარდება, ახმაურდება, უხვად დაეპკურება ნარგავებს, შვებას მოუტანს. მერე კი სწრაფად გაუჩინარდება, მაგრამ თავს არასოდეს მოგვანატრებს ხოლმე.

ახლა ზაფხულია და პატარძალივით მორთულა ბათუმი. აქ უკვე ჩამოვიდნენ სტუმრები პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიიდან.


ვლადიმერ დარჩია

გზა ესოფლიო ბაზრისაკენ...

ჯერ კიდევ 1921 წლის მარტში პარტიის X ყრილობის საბოლოო სხდომაზე ლენინმა განაცხადა: „ვაიკითხეთ თუ არა გაზეთში, რომ იხსნება ბაქო-თბილისის ნავთსადენი? თქვენ მალე წაიკითხავთ, რომ ასეთივე ნავთსადენი გაყვანილია ბათუმამდე. ეს გზას გაგვიხსნის მსოფლიო ბაზრისაკენ“.

ბელადის ეს სიტყვები გახდა საფუძველი, რომ 1922 წელს ბათუმში შეიქმნა ნავთობპროდუქტების გადასატვირთი ბაზა, ხოლო 1929 წელს ამუშავდა ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის პირველი დანადგარები. 1932 წელს ქარხანა მთელი სიმძლავრით ამოქმედდა. შემდგომ ქარხანაში განუხრელად ინერგებოდა ახალი ტექნიკა და წარმოების მოწინავე ტექნოლოგია. უკანასკნელ წლებში აქ ორი უახლესი ტიპის დანადგარი ჩადგა მწყობრში. ქარხანა მთლიანად ავტომატიზებულია.

მეჩაიეობა აჭარის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. 1970 წელს 1913 წელთან შედარებით ჩაის პლანტაციების ფართობი 8,3-ჯერ გაიზარდა და 7350 ჰექტარს მიაღწია, ხოლო საჰექტარო მოსავალმა 5.630 კილოგრამი შეადგინა, რაც სარეკორდოა მსოფლიო მასშტაბით. მოპოვებული წარმატებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მარტო ხუცუბნის ლენინის ორდენოსან კოლმეურნეობაში (ქობულეთის რაიონი) მიენიჭა 16 კაცს, ხოლო 25 კოლმეურნის მკერდი ლენინის ორდენმა დაამშვენა.



სურათზე: ჩაისბაკრეფი მანქანა „საქართველო“ აჭარის პლანტაციებში.

ეს არის ჩვენი სოფელი

— ხედავ, ბიძია, ამ სახლებს?

— ვხედავ.

— თამბაქოს პლანტაციებს, ვენახებს, სკოლას, კლუბს თუ ხედავ?

მთიდან მართლაც ყველაფერი ხელისგულივით ჩანს. მოხუცი დაკოჟრილ ხელს ხან იქით იშვერს, ხან აქეთ. მერე, როცა შეკითხვაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს მიიღებს, გაეღიმება, თვალებს ეშმაკურად მოჭუტავს და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკებს:

— ჰოდა, ჩვენი სოფელიც ეს არის.

დიახ, ეს არის სოფელი ფაჩხა, ხულოს რაიონის მაღალმთიანი სოფელი. ეს მოხუცი კი ფაჩხელი შევქეთ მახარაძეა.

მან ოთხმოც წელს კარგა ხანია გადააბიჯა. ამაყობს თავისი სოფლით, შვილებით, შვილიშვილებით. შრომობს, უვლის თამბაქოს, ვენახს, პირუტყვს და კმაყოფილია.

— ოთხმოცი წლისა კი ვარ, ბიძია, მარა, ეს სოფელი ასჯერ და მეტი ხნისაა. რაც მახსოვს, იმას მოგიყვები. ვიცი, რაც გინდა. შენისთანები წელიწადში ბარე სამ-ოთხჯერ ამოდიან აქ და ყველას ერთნაირი კითხვა აქვს. ადრე აქ 40 კომლი ცხოვრობდა, ძველებური ერთი ქოხიც აღარ დარჩა და როგორღა აგიწეროო, როგორ ვცხოვრობდით. ახლა, ა, შენედე, — მეზობლის სახლზე მიმითითებს, — ამფერი სახლი ასოცდაათია ფაჩხაში...

მართლაც, ძალიან უბადრუკი სოფელი ყოფილა წინათ ფაჩხა. მოხუცს არ სურს ძველებურ ყოფაზე დაწვრილებით საუბარი, ძველი წყლულების გახსენებას თუ ერიდება.

ცხრაას ოცდაერთში შევქეთი 31 წლის ვაჟკაცი ყოფილა, მშრომელი და გამრჯე, მთელი სოფლის სიამაყე (ეს სხვებმა თქვეს). ვეფხვივით ეჭიდებოდა თურმე მიწას, ჩეხავდა და ასუფთავებდა ჯაგნარებს, რათა ცოტაოდენი ნაყოფი გამოეკლიჯა და ოჯახი როგორმე ერჩინა. მართალია, ოფლით მოყვანილი მოსავლის დიდი ნაწილი სხვას მიაქონდა, მაგრამ, აბა რა ექნა გლეხს, ხომ მაინც უნდა ეშრომა თუნდაც იმ მათხოვრული წილისათვის, რომელიც მას რჩებოდა. და შრომობდნენ ფაჩხელები, ებრძოდნენ მიწას და დროს, ცუდი ყოფის შედეგად სოფელში მოდებულ ტიფს, ციებ-ცხელებას, შიმშილს, უმეცრებას, უუფლებობას...

— თუ გინდა, რომ ფაჩხის ყველა მშვენება ნახო, აქ შემოდგომაზეც უნდა ამოხვიდე, — ამბობს მოხუცი.

მართლაც. საოცრად ლამაზია ამ დროს სოფელი ფაჩხა. ცადაზიდული ხეები თითქოს ხაზს უსვამენ მის სიდიადეს, აქაურ მკვიდრთა სულისა და სხრცის სიჯანსაღეს. როგორც კი მიუახლოვდები სოფელს, მაშინვე იგრძნობ პლანტაციებიდან მონაბერი ნედლი თამბაქოს არომატს, რომელიც ერწყმის მწიფე ვაშლს, ნაწვიმარი მიწისა და ხმელი ჩალის სურნელებას. ახავერდებული გორაკები ხომ მთელი სოფლის მშვენებაა.

ადამიანები, რომლებიც ქმნიან და ფლობენ ამ სილამაზეს, მუდამ მზრუნველად უვლიან თამბაქოს პლანტაციებს, სიმინდის ყანებს, ფუსფუსებენ მეცხოველეობის ფერმებში. თამბაქო აქაური კოლმეურნეების შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. მის მოსავლიანობაზე რომ ჩამოვარდება საუბარი, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მუსტაფა ბოლქვაძეს ეღიმება. წარმოიდინეთ, რა იქნებოდა ჩვენი სოფელი უთამბაქოოდ, — ამბობს მუსტაფა, — ეს ივიეჟა, რომ ვთქვათ: რა იქნებოდა კახეთი უვაზოდ? კახეთში ვაზი ხარობს, ფაჩხაში — თამბაქო. არავინ ფიქრობდა, თუ მაღალმთიან პირობებში თამბაქო იხეირებდა, მხოლოდ რამდენსამე კაცს სჯეროდა ეს და გაიტანეს კიდეც ლელო. შარშანწინ სასელმწიფოს 20,5 ტონა ხმელი თამბაქო მივყიდეთ. 2,5 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. შარშან კი გეგმას 11 ტონით გადავაჭარბეთ.

თამბაქო ნედლად ნაზი მცენარეა, ზოგჯერ იგი ჭირვეულიც არის, ბავშვივით სჭირდება მზრუნველა. თუ მიეფერე, მიუალერსე, ყურადღება არ მოაკელო, — ათ და ასმაგად დაგიფასებს ამაგს. ასე ფიქრობენ სოფლის თავკაცი მუსტაფა ბოლქვაძე, სოციალისტური შრომის გმირები ხაზმა მახარაძე, ხასან სურმანიძე, ულქერ ბოლქვაძე, მოწინავე მეთამბაქოეები მერი და ილიას შანდარაძეები და სხვები, ასე ფიქრობს სახელმოხვეჭილი მეთამბაქოე ნადია შანდარაძეც. იგი ყოველ ცისმარე დღეს პლანტაციისკენ მიეშურება, თავს დასტრიალებს მცენარეს, ხელს შეაშველებს თითოეულ ძირს, სწავლობს მოწინავეთა გამოცდილებას.

მერე რა მისცა ნადიას თამბაქოსადმი ასეთმა ზრუნვამ?

შვიდასი კილოგრამი ას სამოცდაათის ნაცვლად!

და კიდევ: სიმდიდრე მის ოჯახს, მეტი დოვლათი და ეკონომიური ძლიერება კოლმეურნეობას.

შარშან გაბრწყინებულმა 1200 კილოგრამი თამბაქო მიჰყიდა სახელმწიფოს. ეს დიდი გამარჯვება ნადიამ საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიუძღვნა.

• • •

განჩიანი გახსოვთ? თუ გაგიგონიათ, ალბათ ისიც გეცოდინებათ, რომ ამ ორიოდე წლის წინათ განჩიანი გაუვალ ჯაგნარს ნიშნავდა და აზრადაც არ მოგივიდოდათ იქ წასვლა.

მუსტაფა ბოლქვაძე კი ახლა დაბეჯითებით გთხოვთ, განჩიანში წამომბრძანდითო. ეს ადგილი სოფლიდან ცოტა მოშორებით, მაღალ მთაზე მდებარეობს. მიხვალთ. თავმჯდომარე დადგება, დოინჯს შემოიყრის და ისევ იმ გულუბრყვილო, უშმაკო ღიმილით გეტყვით:

— მოგწონთ?

პასუხის ნაცვლად გაკვირვებით უყურებთ არემარეს, მოფუსფუსე ადამიანებს და ფიქრობთ, სხვაგან ხომ არ მოვხვდიო.

— დიახ, ეს სწორედ ის განჩიანია. წინათ რომ გინახავთ. რას იზამთ, ცხოვრებამ ასეთი ფერისცვალება მოითხოვა, — ამაყად ამბობს თავმჯდომარე.

ფარდულიდან მძიმე ნაბიჯით გამოდის ჭარმაგი, ფართომხარბეჭიანი კაცი. ეს ილიას შანდარაძეა. იგი მთელი ოჯახით მუშაობს აქ. სამივე ფარდული თვითონ გააკეთა. შარშან ას სამოცდაათი კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს 1600 კილოგრამი თამბაქო მიჰყიდა.

ფაჩხა მარტო თამბაქოს უხვი მოსავლით როდია განთქმული. აქ მოჰყავთ ყურძენი, სიმინდი, მისდევენ მეცხოველეობას.

უზარმაზარი წითელი მზე მთებს იქით ჩაესვენა. სახლებში შუქი აინთო. დღიური შრომით დაღლილი სოფელი ისვენებს, ძალას იკრებს, რათა ახალი ენერგიით შეხვდეს ხვალინდელ დღეს.

...კლუბში ახალ კინოფილმს აჩვენებენ, ბიბლიოთეკაში საჯაროდ იხილავენ რომელიღაც მხატვრულ ნაწარმოებს. ზოგი ჭადრაკის დაფას მისჯდომია, ზოგი გაზეთებს ათვალიერებს. მხატვრული თვითმოქმედების წრის წევრები რეპეტიციას გადიან. აქ არის სოფლის იმედი, მისი ხვალინდელი დღე — ახალგაზრდობა...

დაღამებაც საოცრად ლამაზია ფაჩხაში, ზღაპრული გოლიათებივით აღიმართებიან სიბნელეში მთები, სოფელში კი სახლის ფანჯრებიდან ციცინათელებივით გამოკრთის შუქი...

ივერი ტაბიძე

ციტრუსების სამეფო

ციტრუსოვანთა კულტურები ჩვენში უძველესი დროიდან არის ცნობილი, ვახუშტის თქმით, ჭოროხის ხეობა ფრიად ნაყოფიერი იყო ნარინჯით, თურინჯით, ლიმონითა და ზეთისხილით.

დღეს აჭარაში ციტრუსი 6354 ჰექტარზეა გაშენებული.

აჭარის მეციტრუსეებს სხვა დროსაც უსახელებიათ თავი, მაგრამ შარშანდელი სვავი და ბარაქა მაინც არაჩვეულებრივი იყო.

30 ათასზე მეტი კოლმეურნე ორთვენახევარს ყოველდღიურად დაძაბულად შრომობდა მოსავლის აღებაზე. ნაყოფით დატვირთული ავტომანქანები ერთმანეთს მისდევდნენ საფუთავი ქარხნებისაკენ.

უკეთ რომ გავიგოთ აჭარის ბაღების სიკეთე, შეიძლება დავასახელოთ ასეთი ციფრი — 12 მილიონ 700 ათასი მანეთი მხოლოდ მეციტრუსეობიდან მიღებული შემოსავალია.

მისკმართი შეიცვალა



ხელვაჩაურის რაიონი, სოფელ ახალშენის კულტურის სახლი

ათასწლეულებით გზა გაკაფიპტების დაბურულ ხეივანს მისდევს. მარჯვნივ და მარცხნივ ციტრუსების ბაღებია გაშენებული, გამრჯე მარჯვენას მოუხატავს მიწის ყოველი მტკაველი. განიერ შარაზე განუწყვეტელი მოძრაობაა. ეს გზა აჭარის მთის რაიონებისაკენ მიდის.

სოფელ ხელვაჩაურში როგორც კი შეხვალთ, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს თეთრად მოქათქათე მრავალსართულიანი შენობები. ადრინდელი აქ მხოლოდ ციტრუსების შემფუთავი ქარხანა და ჩაის ფაბრიკა არის დარჩენილი. ბოლო წლებში ამენდა ბინათმშენებლობის კომბინატი, ინერტული მასალის ქარხანა, რესტორანი, უნივერმაღი, საშუალო სკოლის ახალი შენობა. შარშან მოპირადირების გადაეცა რამდენიმე საცხოვრებელი სახლის, წლეულს — პარტიის რაიკომის, რაიაღმასკომის, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ დაწესებულებათა შენობები.

ხელვაჩაური რაიონში ერთ-ერთი დიდი სოფელია, იგი ტერიტორიულადაც ყოფილი ბათუმის რაიონის ცენტრში მდებარეობს. ამანაც განსაზღვრა ის, რომ რაიონულმა ცენტრმა ხელვაჩაურში გადაინაცვლა და ამიერიდან ბათუმის რაიონს ხელვაჩაურის რაიონი ეწოდება.

სიცოცხლის ელექსირის ფაბრიკა

ქობულეთიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით შეგიძლიათ საოცარ კოლმეურნეობას ეწვიოთ. „სიცოცხლის ელექსირის ფაბრიკას“ ეძახიან მას. აქ ზრდიან და უვლიან მხოლოდ სამკურნალო მცენარეების უნიკალურ ჯიშებს, რომლებიც ფარმაცევტული მრეწველობისათვის არის განკუთვნილი. თვალსაჩინოებით უფრთხილდებიან ნარგავებს, რომელთაც ადამიანისათვის სიცოცხლე, მხნეობა, ჯანმრთელობა მოაქვთ.

მეტად იშვიათი და უცნაური მცენარეები შეგიძლიათ ნახოთ აქ. 500-ს აღწევს მათი რიცხვი. აი უამრავი ჯიშის ალოეს კვლები, აგავის ათასობით ბუჩქი, აქვეა ძალზე იშვიათი მცენარის — თირკმლის ჩაის პლანტაციაც. ჯერ კიდევ 1931 წელს უშოვიათ მისი რამდენიმე მარცვალი — თესლი. ძალზე დიდი შრომა და ენერგია დაიხარჯა, რომ ამ თესლიდან მცენარე მიეღოთ. და მიიღეს კიდეც — სწორედ ის რამდენიმე თესლი დაედო საფუძვლად დღეს 35 ჰექტარზე გაშენებული ამ სამკურნალო მცენარის არსებობას. როგორც ისტორიული ექსპონატი, შენახულია ქინაქინის ხე — ჩვენში აღარ არსებობს მალარია, როგორც დაავადება, ამ მცენარემ უკვე შეასრულა თავისი მოვალეობა და ახლა მისი გამრავლება აღარ არის საჭირო. იგი მხოლოდ სტუდენტებისათვის საჩვენებლად არის დაცული. ასევე სასწავლო ექსპონატის როლს ასრულებს კოკაინის ბუჩქიც... ამ კოლმეურნეობაში ნახავთ ბანანს, ანანასს, ევკალიპტსა და სხვა მცენარეებს, რომლებიც საკურნალოდ გამოიყენება.

მაგრამ მხოლოდ აქ არსებულ მცენარეებზე ზრუნვით როდი გამოიხატება ამ ადამიანთა საქმიანობა. ყოველწლიურად აწყობენ ექსპედიციას საქართველოს მთებსა და ტყეებში, სწავლობენ სხვა რესპუბლიკებისა და ქვეყნების ფლორას, ამდიდრებენ ისედაც მდიდარ კოლექციას.

„სიცოცხლის ელექსირის ფაბრიკის“ მცენარეთა ნედლეული დიდი რაოდენობით იგზავნება საექსპორტოდ.

ისევ ჰყვავის ვაზი...

ქართველ მევენახეს ძილშიც ახსოვს რქაწაყარი ვაზი. დასაბამიდან მოსდევს მისი სიყვარული და თვალისჩინივით უვლის ნარგავ-ნაშენს. უვლის, რომ თვითონაც გაიხაროს და სხვაც გაახაროს დაშაქრული ყურძნის მტევნებით, შესანიშნავი ქართული ღვინით.


ვაზი ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების მშვენებაა. დროის უკუღმართობის ბრალია, თორემ აქ ვაზი ოდითგანვე ყოფილა პატივცემული. როცა სამხრეთი საქართველო წინ მიუძღოდა ჭართულ კულტურასა და ეკონომიკას, აჭარისწყლის ხეობა მოფენილი იყო მრავალი ჯიშის ვაზით.

1938 წლიდან შეუდგა ვაზის გაშენებას ქედის რაიონის ახოს კოლმეურნეობა. აბდულ ბერიძე ამ კოლმეურნეობის პირველი მევენახე, შემდეგ კი პირველი სოციალისტური შრომის გმირი იყო. თავდაპირველად ბევრი სიძნელის დაძლევა მოუხდათ, მაგრამ ვაზის ფესვები მაინც გაიცოცხლდნენ ნოყიერ მიწაში. ხელახლა დაიწყო ხალხმა სიმღერების შეთხზვა ვაზზე.

ომიანობის ძნელ პირობებში დაუდგათ პირველი რიგელი ახოელ მშრომელებს, მაგრამ იგი გადაიქცა სახალხო ზეიმად. საბჭოთა საუკუნის შემდეგ პირველად გაისველეს ქვევრებმა პირი ნუნუას კეთილშობილი ნექტარით.

სიმღერა რომ არ იცოდე, ახლა ვაზი აგამღერებს, ისე ხარობს და ხვავრიელად ისხამს ქართველი კოლმეურნის ნაამაგარი.

ჯემალ შამილაძე



სურათზე — ჩაქვის გადასავალი

დღეგრძელობს სიტყვა ქართული

ქველი საქართველოს კულტურული და ლამაზი მხარე აჭარა, ისტორიულ უკუღმართობათა გამო, დიდი ხნის მანძილზე ჩამორჩენილი და ბნელით მოცული იყო. საუკუნეები ისე გავიდა, ქართულ მწერლობას ამ მხრიდან ერთი მესიტყვეც არ შემატებია.

დღეს დიდი სიამაყით ვაცხადებთ: აჭარაში ჰყვავის სიტყვა ქართული! ქართველ მწერალთა აჭარის ორგანიზაციაში ახლა ოცდაათამდე ლიტერატორია გაერთიანებული.

ქართული მწერლობის კვლავ დაბადებისა და მისი აღდგენა-გამთელების პირველი მესია აჭარაში ისტორიამ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებს დააკისრა. ჩვენი საუკუნის დამდეგს ამ ორმა განათლებულმა მამულიშვილმა აჭაური მშრომელის მწუხარება, მისი მაღალი ოცნება მხატვრული სიტყვით გამოთქვა.

პარმენ ლორიამ ოცდაათ-ორმოციან წლებში უკვე შექმნა რომანები „ჩაი", „დელი მურადი" („განთიადი ხევში") და „მევლუდი", რომლებშიც ფართოდ აისახა აჭარის მშრომელი კაცის ბედი.

აჭაური მდიდარი ფოლკლორის შესწავლა და გამომზეურება ჯემალ ნოღაიდელმა დაიწყო. მისი მოღვაწეობა თავის დროზე სათანადოდ დააფასა თვით ივანე ჯავახიშვილმა.

ქართული ზეპირსიტყვიერება აჭარის ქართველ ლიტერატორთა დიდ ინტერესსა და აღტაცებას იწვევს. ხალხის სულში ჭეშმარიტად ცოცხალი პოეზია სახლობს. ათეული წლების მანძილზე აჭაურმა კაცმა წერაკითხვაც არ იცოდა, რომ ნაფიქრი ქაღალდზე გადაეტანა, მაგრამ სული ყოველთვის პოეტური ცეცხლით უღელავდა.

პირველი ლექსები უთხრეს აჭარას პარმენ რურუამ და ნესტორ მალაზონიამ.

აჭარელი ქალი ნანა გვარიშვილი, რომლის პირველი ლექსი ოცდაათი წლის წინათ დაიბეჭდა, ახლა სახელმოხვეჭილი ქართველი პოეტია. ათეული წიგნის ავტორია მამია ვარშანიძე. მან დიდი პოემა უძღვნა მთელ სამხრეთ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ცნობილ გმირს და მეთაურს სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილს, რომელსაც სულთანის ბრძანებით 1815 წელს ხიხანის ციხეში თავი მოჰკვეთეს.

ნაყოფიერად მუშაობს პროზასა და პოეზიაში ჯემალ ჯაყელი. აჭარას მრავალი კარგი ლექსი უძღვნა პოეტმა გიორგი სალუქვაძემ. ახლახან შემოვიდა ლიტერატურაში და მალე პოპულარული პოეტის სახელი მოიხვეჭა ჩაქველმა გურამ გორგილაძემ. ისტორიულ და თანამედროვე თემებზე დაწერა რომანები იუსუფ ფალავამ.

აჭარაში მოღვაწეობენ მწერლები და პოეტები ამირან შერვაშიძე, შოთა როყვა, ლადო სეიდიშვილი, ალექსანდრე სამსონია, ჯემალ ქათამაძე, ქსენია მუჯავა და სხვები.

ჩვენი წიგნები იბეჭდება თბილისში, მოსკოვშიც... გვაქვს საკუთარი გამომცემლობა. ბათუმში დაბეჭდილი წიგნები მთელ საქართველოში ვრცელდება. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარას" მწერალი ჯემალ ჯაყელი ხელმძღვანელობს.

საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანო—ჟურნალი „ჭოროხი" თავის ფურცლებზე ბეჭდავს როგორც ცნობილი, ისე დამწყები მწერლების ახალ ნაწარმოებებს. ზოგიერთმა უკვე აღიარებულმა მწერალმა ამ ჟურნალის ფურცლებზე აიდგა ფეხი.

ჩვენი მწერლები აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევიან. ბევრი მათგანი გაერთიანებულია უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების აჭარის განყოფილებაში და ხალისით მონაწილეობს ყველა პატრიოტულ, მამულიშვილურ წამოწყებაში.

რადგან ამ ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ამ სტრიქონების ავტორი გახლავთ, ორიოდე სიტყვით აღვნიშნავ, რომ საზოგადოების საქმიანობას ჩვენი ლიტერატურული ყოველდღიურობისაგან არ ვთიშავთ. აჭარას განსაკუთრებით ბევრი ჰყავს უცხოეთში თავისი შვილი. ბედუკუღმართ წარსულში მრავალი დაშინებული და მოტყუებული ქართველი მუსულმანი აჭარიდან ოჯახიანად აიყარა და მუჰაჯირად გაიხიზნა. მათ შთამომავლებს შევხვედრივარ სტამბოლში, ბურსაში, იზმირში, როცა იქ ქართველ მწერალთა ერთ ჯგუფთან ერთად ვმოგზაურობდი როგორიც უნდა ყოფილიყო ჩემი ნაღველი იმ წუთებში, სიხარული და კმაყოფილება მაინც სჭარბობდა. რატომ? იმიტომ, რომ თანამემამულეებს, მიუხედავად სიძნელეებისა, არ დაუკარგავთ დედაენა. მართალია, ბევრი მათგანი ვერ კითხულობს ქართულ წიგნს, მაგრამ ჩვენ მოგვთხოვეს ჩვენი ნაწარმოებები, შვილები ანბანს ისწავლიან და წაიკითხავენო. ხოლო რას ნიშნავს ეროვნულ, დედაენაზე განათლების მიღება, ამას თვალნათლივ სწორედ აჭარაში იგრძნობ.

როგორც ვთქვი, თუ ასობით წლის მანძილზე ჩვენს კუთხეში ერთი მწერალიც კი ვერ გამოჩნდა, დღეს უკვე მრავლადა გვყავს ლექსის, მოთხრობის, პიესის ავტორი.

ჩვენი შემოქმედების გამომზეურებას მარტო გამომცემლობა და ჟურნალი როდი ემსახურება. მხატვრულ ნაწარმოებებს თითქმის ყოველ კვირაში ბეჭდავენ ბათუმში გამოსული ყოველდღიური გაზეთები „საბჭოთა აჭარა" და „სოვეტსკაია აჯარია". ჩვენი ლექსები და მოთხრობები ხშირად გადაიცემა ბათუმის რადიოთი, რომელსაც თავისი არხი აქვს და მას არა მარტო აჭარაში უსმენენ.

აჭარელი პოეტები და მწერლები თბილისის ტელევიზიითაც გამოდიან. სატელევიზიო გადაცემებს კი აჭარაში დიდი ხანია უყურებენ.

ასე რომ, ჩვენი ლიტერატორები მჭიდრო კავშირში არიან როგორც მკითხველებთან, ისე მაყურებლებთან, რაც მათი შემოქმედებითი აღმავლობის საუკეთესო გარანტიაა.

დიახ, აჭარაში დღეგრძელობს სიტყვა ქართული!

ფრიდონ ხალვაში

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი



აჭარის მწერლების შეხვედრა გიორგი ლეონიძესა და გიორგი შატბერაშვილთან (მარჯვნიდან მეორე და მესამე) ბათუმის სადგურში. სურათი გადაღებულია 1960 წელს.

ნიკოლოზ ასიტაშვილის ფოტო

საქართველოს

ჩვენი მუხა,
ჩვენი შქერი,
ჩვენი ბზა და ურთხმელი,
მოჩახჩახე მზის ჩანჩქერი,
ლექსი, ჯერეთ უთქმელი.
ჩემი დიდი დედამტკვარი,
ჩვენი მღვრიე ჭოროხი,
ცა — თაფლივით ჩამომტკბარი,
მიწა — ოქროს გოროხი.
შთაგონებით სავსე რთველი,
უკვდავების მთოველი,
ჩვენი დიდი რუსთაველი.
ჩვენი სვეტიცხოველი.
ოქტომბრის მზის მოსასხამი,
შვენის სულის სამოსად,
და დიდების უდგას ჯამი
მიწას — ვეფხისტყაოსანს.
ვარსკვლავების ათინათი
დასცინციმებს გრძნეულად,
რა მაღალი,
რა დიადი
მზისკენ გადარწეულა.
ცათა-ელვით,
ზღვათა ღელვით
ღელავს,
როგორც ღელავდა
საქართველო ჩვენი ძველი
და ახალი ელადა.

ახმედ კვირიტიძე

მამული

სულში სითბოს და სინათლეს
ისე უწვად ღვრის
სიკაშკაშე ღამისა თუ
ბრწყინვალება დღის,
საცალფეხო ბილიკები
მუხლს არასდროს ღლის,
აქ სიკვდილიც უსათუოდ
ერთ სიცოცხლედ ღირს.

რევაზ ართილაყვა

იავნანა

იავნანავ,
ფრთებით გარწევს შენ ქართული
ქამთადენა,
ზოგჯერ ღმერთიც შეიცვალა,
ვერ შეცვალეს შენი ენა.

ველაპარაკე რა მზეც გამწიფებდა
და გისხამდა რომელი ხეც,
იავნანავ,
ვარდოვნანავ,
მოდი, სულზე მომეხვიე.

ბევრხელ მიწა გამიგლიჯეს,
შენ კი ზღვარი ვერ დაგიდეს,
ვერ წაართვეს შენი თავი
შაგშეთელს და მარადიდელს.

თუმცა ხშირად ბედი ჩემი
ჭოროხივით იმღვრეოდა,
ჩადრიანი დედა მაინც
იავნანას მიძღვროდა.

არ ეძინა შშობელს ღამით,
არ ეძინა იავნანას,
ცივ მთვარეში ცხელი ცრემლი
დედამ აკვანს მიანამა.

ლაქვარდების ლურჯი თქორი
ეფრქვეოდა დედის ღიღინს,
იავნანას თითო ბგერა
სისხლის თითო წვეთად მიღირს.

იავნანავ, გწვევ და მაინც
იმავ დედას შველი ახლა,
ვინც ქართული სიტყვის ცეცხლი
შენს ნაცარში შეინახა.

ნანა, შვილო, მიყვარს, შვილო,
შენი თვალი გახელილი.
იავნანა მიყვარს ამ შენს
გადარწენილ სახელივით.

ნანა, შვილო,
ამ სიმღერამ წყლული ბევრი დაგვიამა,
შენც გფარავდეს ძველი დარდით
დაძენძილი იავნანა.

ჯერ ბევრი გაქვს საზრუნავი,
გასაკაფი, მოსახნავი,
დღეის ფიქრით დამიმძიმდი, —
დამსუბუქდეს სევდა ხვალის.

მაგონდება დედის ჩვილი
ხმით ნამღერი ნანა ტკბილი, —
ყველა წუთი თენდებოდა
ჩემთვის ამხდარ ნანატრივით.

ზევით ზეცა იყო ღრმა და
სუფთა, როგორც დედის გული,
შიგ ჰყვაოდა ვარსკვლავები,
დედის ხელით მიმორგული.

ნანა, შვილო,
ამ სიმღერით გაიზრდები უფრო კარგი.
ყრმას უმალვე ავამაღლებს,
დაბრძენდები, მაინც გარგებს.

ჯერ ბევრია საზრუნავი,
შენი კერა სადაც არი.
შენ ხომ თვითონ იავნანაც
გაქვს მოსავლელ-დასაცავი.

ნანა, შვილო, მზე გეძახის,
ძალი ისიც საკმარია,
შვილო, ძთელი საქართველო
დღეს ხომ შენი აკვანია!

ნანა, შვილო, იძილფხიზლე,
დროებამს ყური მიაპყარი,
საქართველოს ხვალე შენ ხარ,
გაზდი მისი წინაპარი.

ფრიდონ ხალვაში

აჭარელო დიდო დედავ

აჭარელო დიდო დედავ,
ნისლში მანდილს ვხედავ.
შენ იხსენი ბულბულთ სტვენა—
ტკბილი დედაენა.
სანუკვარი მოიპარე
და აკვანში მალე,
მე შენს ქართულ კაბა-ქათიბს,
დედავ, ვეთაყვანე.
იავ-ნანა ჩაგეფინა
ჩვილთა არტახებში,
დარდმა თეთრი ჩაგისირმა
აბრეშუმის თმებში.
შენს დარწეულ აკვნებიდან
მოდის ჩემი ლექსი.
მთების იქით,
ნისლის იქით
შენი ნანა მესმის.

ნანა გვარიშვილი

სარჩე ვარდასული ცხოვრებისა

აჭარის ფოლკლორში ნათლად არის ასახული ხალხის ცხოვრების ყველა უმთავრესი ნიშანსვეტი. აქ ვპოულობთ კვალს როგორც პირველყოფილ რწმენა-წარმოდგენებზე, ისე ცნობებს ცალკეულ ისტორიულ მოვლენებსა და პირებზე.

ისტორიულ პირთაგან ყველაზე მეტი ცნობა, ლეგენდა, თქმულება-გადმოცემა და ლექსი თამარ მეფეზეა შერჩენილი. ეს გასაგებიც არის — საქართველოს ისტორიის დიდებული ეპოქის — გაერთიანებული სამეფოს სკიპტრის მპყრობელი მეფე საბაბი გახდა სხვადასხვა ჟანრის ხალხურ ნაწარმოებთა შექმნისა. ეს ნაწარმოებები ზეპირი გზით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და წარსულის დიდებული სახეების ძერწვით, აწმყოს უკეთესი მერმისისაკენ მოუწოდებდა...

ბევრი ხალხური ნაწარმოები თამარ მეფეზე აქ, აჭარაში იქმნებოდა და შემდეგ ვრცელდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ერთ-ერთი ასეთი ნიმუშთაგანია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში აჭარაში ჩაწერილი „ლექსი თამარ მეფეზე":

ათასი კაბა ყმა მყავდა,
ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭრევდი დედალ ხოხობსა,
ვასმევდი ბროლის ჭიქითა.
ვინაც შემება, შევები
ალალითა და ჯიქითა.
ახლა თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა.

ზეპირსიტყვიერებაში ასევე მკაფიოდ აისახა ჩვენი ერის ისტორიის ავბედითობა, მშრომელი ხალხის ცხოვრების სიდუხჭირე, სევდა სამშობლოს მიტოვებისა და უცხოეთში გადაკარგვისა...

მხოლოდ ზეპირი პოეტური ნიმუშებით როდი გამოირჩევა ჩვენი ფოლკლორი. კარგა ხანია მკვლევართა ყურადღება მიიქცია აჭაური მუსიკალური ფოლკლორის ნადურმა სიმღერებმა თავისი პოლიფონიურობით (თხსმიანობა), რომელთა შემსრულებლები ახლაც არიან.

ხალხური სიბრძნის მარგალიტების შეკრება, რომელსაც სათავე დაუდეს ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, პეტრე უმიკაშვილმა, ზაქარია ჭიჭინაძემ და სხვებმა, შემდეგშიც არ შენელებულა. ამ მხრივ ბევრი გააკეთა განსვენებულმა მკვლევარმა ჯემალ ნოღაიდელმა, რომელმაც შეკრიბა და გამოაქვეყნა აჭარული ფოლკლორის ნიმუშები.

დიდებული ესტაფეტა ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრებისა დღესაც გრძელდება.

აზიზ ახვლედიანი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველო იყო მისი საოცნებო სახელი

ვაშლოვნის ქუჩა. ერთი ძველებური თბილისური ეზო, მყუდრო და საამო. კარი მადლმოსილი გარუნობის ქალმა გამიღო.

ჰაიდარ აბაშიძის მეუღლე, მარგალიტა ყაფლანის ასული წერეთელი მშვიდად და ყურადღებით მისმენს. შემდეგ ფრთხილად იღებს ძვირფასი მეგობრის ხელნაწერებს, დანატოვარს. თითები უთრთის, ხმაშიც თრთოლვა ერევა: — ჩემს სულს გაბარებ, შვილო, გაუფრთხილდი! — ბასხენებს და მოწიწებით მაწვდის.

რაღაც სიმძიმეს ვგრძნობ. ვაითუ, ვერა ვთქვა ის, რისი ღირსიც არის ეს დიდი მამულიშვილი, ვაითუ, კალამმა მიმტყუნოს...

იქნებ ამაოდ შევაფრთოლე ამ ქალის ყველაზე ფაქიზი სიმები...

• • •

„— როდის გავიგე, მე რომ ქართველი ვარ?

პირველად მამაჩემმა ბათუმის ქართულ სასწავლებელში მიმაბარა. ეს იყო დაახლოებით 900-იან წლებში. სასწავლებელში შესვლისას ერთმა კაცმა მომკიდა ხელი, შემიყვანა კლასში და დამსვა სკამზე. მე გაკვირვებული და შეშინებული ვიცქირებოდი ირგვლივ. კლასში დავინახე წითელფაფუკებიანი რამდენიმე ბავშვი. მათი დანახვა გამეხარდა და გავიფიქრე: რაღა მიჭირს, გარდა ქართველებისა — გიაურებისა, აქ ჩვენი თათრებიც ყოფილან-მეთქი!

...1905 წელს მამაჩემმა სანღვარგარეთ გამგზავნა ოსმალური ენის შესასწავლად. ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ოსმალეთში „გურჯი“ მიწოდეს. ჩავიცქირდი. ეს რა ამბავია: ხან „თათარი“ ვარ, ხან „თურქი“ და ხან კი „გურჯი“-მეთქი.

...მაშინ აზრადაც არ მომდიოდა, თუ მეც მჭონდა სამშობლო და დედაენა“.

19 წლის ჭაბუკმა შემთხვევით გაიგო თავისი ქართველობა. — წიგნმა, ყოვლისშემძლე ჯადოსნურმა წიგნმა გადაუშალა ჩვენი ერის სახელოვანი ისტორიის დიდებული ფურცლები, თვალნათლივ დაანახვა, რომ საქართველოს სამეფო თვალი ყოფილა ოდითგანვე მეხსეთი, ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, აჭარა.

ახლა მიხვდა, რატომ უწოდებდნენ საზღვარგარეთ „გურჯს“, შინ კი — „თათარს“. სარწმუნოების აღრევაში ეროვნული აღრევა იყო!

„როგორც იქნა, მოველ ჭკვაზე, — იწერებოდა შემდეგ ჰაიდარ აბაშიძე ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ ფურცლებზე. მაგრამ ეს არა კმარა! საჭიროა სხვებიც მოვიდნენ ჭკუაზე და მასთან ერთად შეიგნონ და შეაგნებინონ გზააცდაბნეულ, დაბეჩავებულ ქართველ მაჰმადიანებს, რომ ისინი არიან ქართველები, მათი დედაენა ქართული ენაა და სამშობლო კი — კოხტა საქართველო“.

წიგნს არ ერწმუნა, ფეხით მოიარა საქართველო, მთელი აჭარა — კახაბერი, მინდა, მარადიდი, მაჭახელა, ლეღვა, თხილვანა, მესხიქედი, ქვედა კვირიკე, მუხაესტატე...

მისი სულისთქმა ამიერიდან სამშობლოს სამსახური იყო.

ჰაიდარ აბაშიძემ ირწმუნა თავისი ქართველობა: — მე ქართველი ვარ და საქართველოს მთლიანობას შევწირავ ჩემს პატარა ძალ-ღონესო, — თქვა და ამიერიდან მისი ეროვნული შეგნება საძირკვლად დაედო საქართველოს მთლიანობის იდეას. ვითარცა მამა და სულიერი მოძღვარი ხალხისა, იწყო ქადაგება თავის თანამოძმეთა შორის ეროვნული შეგნების გაღვივებლად; დიდი მოთმინებითა და სიყვარულით განუმარტავდა ღრმა ძილისაგან ახლად გამოფხიზლებულ მოძმეთ: „მაჰმადიანები რომ ვართ, განა ქართველები აღარა ვართ, მაშ სადაურია ჩვენი დედაენა, ჩვენი გვარი? რა არის ეს ისტორიული ნაშთები, რომლებიც ღაღადებენ ჩვენს ვინაობას?“

ჰაიდარ აბაშიძე, როგორც ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი, მიხვდა, რომ საჭირო იყო ჭარელი ისევ გაბრდარიყო ღვიძლი შვილი თავისი მაარსებელი დედაქვეყნისა. სარწმუნოებათა სხვადასხვაობა არ უნდა გვექცია ერის მთლიანობის ბჭობად. მას ძნელად, რომ სჯული ხელს ვერ შეუშლიდა საერთო დედაენაზე ცოდნის მიღებასა და განვითარებას. „საჭირო მხოლოდ დაგეწყოთ და თვალი გაგახილოთ. სჯული სჯულად უნდა იყოს და ეროვნება — ეროვნებად; ჩვენ უნდა დავინტერესდეთ ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბლით, მისი კულტურითა და წინსვლელობით, კვალდაკვალ უნდა გავყვეთ ჩვენს თანამოძმე ქრისტიან ქართველებს ევროპის ცივილიზაციის გზაზე...

უკვე მოახლოვდა ჟამი ჩვენი განახლებისა, დედასამშობლოს ძუძუთი საზრდოობისა, მის მკერდს ჩახუტებისა...“

თვითონ გადადგა პირველი ნაბიჯი ქართველ ქრისტიანებთან დაახლოვებულად. ცოლად შეირთო შარგალიტა ყაფლანის ასული წერეთელი, ქალი, რომელმაც მართლაც სასახელო მეგობრობა გაუწია მისი სიცოცხლის ძნელადსავალ გზაზე. ზნემაღალი, სისპეტაკითა და სათნოებით აღსავსე, გვერდში ედგა სახელოვან მეუღლეს ჭირშიც და ლხინშიც.

ჰაიდარ აბაშიძის სურვილი იყო ეროვნული ცეცხლი, დღედღეობით მინავლებული, გამოეჩხრიკა და ხელახლა აეგიზგიზებინა ქართველთა სადიდებლად, დედასაქართველოს კვლავ დაბრუნებოდა თავისი შვილი და კვლავ ეროვნულ ნიადაგზე აღზევებულიყო, რომ ეროვნულ ჭურას ერთიანად გაეთბო ყოველი ქართველი.

ჰაიდარის სითბოთი, მამულიშვილური გრძნობით გამსჭვალულმა წერილებმა ბიძგი მისცა დიდ ეროვნულ მოძრაობას. აჭარამ იწყო გამოღვიძება.

მაგრამ მგზნებარე პატრიოტმა იცოდა, რომ მარტო სიტყვა არა კმაროდა მშობლიური კუთხის გასაღვიძებლად; მხოლოდ გოგებაშვილის „დედაენას“, ქართულ თეატრს, ქართულ მწიგნობრობას შეეძლო გაეთალებინა აჭარელთა მბედველობა სულისა, რათა არ გამქრალიყო ეროვნული გრძნობის მბჟუტავი ნაპერწკლები.

დედისეულ სახლში ყოროლისთავში გახსნა სკოლა. ეს პირველი ქართული სკოლა იყო გამაჰმადიანებულ საქართველოში, ბათუმის სკოლის შემდეგ, რომელიც 1881 წელს გახსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

ჰაიდარ აბაშიძის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სკოლა გაიჭედა გოგო-ბიჭებით და აჭარის მიწაზე კვლავ ამეტყველდა ქართული ენა.

ქართველი ხალხის მტრები ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ ჩაეხშოთ ჰაიდარის კეთილშობილი წამოწყებანი. 1916 წელს ბათუმის კომენდანტმა ჰაიდარ აბაშიძე გაასახლა ბათუმიდან... ვგონათ, ამით შეწყდებოდა მგზნებარე მამულიშვილის მოღვაწეობა. რა მწარედ შეცდნენ!

კიდევ ერთი დიდი განსაცდელი სამუსულმანო საქართველოსი: 1918 წლის დამლევს, მტრის ჯარების მიერ ბათუმის okკუპაციის პერიოდში, კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ბათუმის ოლქი არ ცნეს საქართველოს შემადგენელ ნაწილად და დედასაქართველოს გარეშე დატოვება განიზრახეს.

ჰაიდარ აბაშიძე მიხვდა, რა ქვეყანაგრძნობები ამოძრავებდა მომხდურს. მეხივით გაისმა ამ დროს მისი ხმა: — „სამუსულმანო საქართველომ, მისი ღვიძლი შვილების, ქართველი მუსლიმანების სახით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე აღიარა, რომ ის არის გადაჯაჭვული და გადაბმული დანარჩენ საქართველოს ყველა კუთხეებთან იტორიულად, კულტურულად და ეკონომიურად.

ამ კუთხის საარსებო და სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს დაუყოვნებლივ დედასაქართველოსთან შეერთებას.

განა უდიდესი უსამართლობა არ არის საქართველოს რუკიდან ამ კუთხის გარეთ დატოვება? ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დედასაქართველოსთან შეერთებას“!


„მესაკუთრენი“ ბევრნი იყვნენ. საქართველო შემკული თავისი ბუნებითა და წყლებით ბევრ გადამთიელს უღვიძებდა მადას. ჰაიდარმა კი, როგორც მეშატიანე იტყოდა, — „განაქიქა და თითის საჩუენებელყო ყოველთა კიდეთა ქუეყანისითა მტერი იგი ქართველთა სოფლისაჲ“.

გამოხდა ცოტა ხანიც და დედასაქართველომ გულში საბოლოოდ ჩაიკრა თავისი ძენი, ღვიძლი შვილნი. რუსთაველისა და შავთელის ფესვმა კვლავ ამოიყარა ყლორტები, მტრის სასიკვდილოდ ისევ ვიმრავლეთ, ისევ გავივსეთ ჩვენს ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვან მიწაზე!

ხუთიოდე წელიწადია, რაც ჩვენს შორის აღარ არის დიდი ქართველი, ღვაწლმოსილი ადამიანი, ხუთიოდე წელიწადია, რაც გულს მიიკრა საქართველოს მიწამ — დიდუბემ თავისი ღირსეული შვილი.

მაგრამ დარჩა მისი სიტყვა, მამულის სადიდებლად გაღებული მისი დიდი ღვაწლი.

ნაზი შამანაური





სურათებზე: მარცხნივ — ჰაიდარ აბაშიძე; მარჯვნივ — ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ერთი ჯგუფი საქართველოს განათლების სამინისტროს სახალხო განათლების მუზეუმში 1959 წლის 31 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე; მარცხნიდან მეორე — ჰაიდარ აბაშიძე.

კულტურის ძეგლები

ათელი საქართველო მუზეუმს წარმოადგენსო, უთქვამს ჩვენს სასიქადულო მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს. მარტო აჭარაში 104 ძეგლია აღრიცხული — ციხეები, ეკლესიები, მონასტრები, თაღიანი ხიდები, უძველესი რკინის სადნობი ჭურები, ნაქალაქარები და ნასოფლარები...

მეცნიერულ ინტერესს იწვევს ანტიკური ხანის ციხე-ქალაქი მაჭახლის ზღვის სანაპიროზე აფსარის (გონიას) ციხის სახელწოდებით, პეტრასა და თამარის ციხეები, ხირხათის ციხე, სხალთის ეკლესია და სხვა მრავალი ძეგლი. განსაცვიფრებელია მათი სიმკვრივე და მონუმენტურობა, სიდიადე და სიამაყე.

გონიას ციხე ანტიკური პერიოდის ისტორიულ წყაროებში აფსარის (აფსარუნტის) სახელწოდებით არის მოხსენებული და წარმოადგენდა სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-ქალაქს. მასში დამკვიდრებული იყო ფეოდალურად ძლიერი და მდიდარი კულტურის ლაზი მოსახლეობა.

ძველ მეგრულ-ლაზურში აფსარი წყლით მდიდარ უბანს ნიშნავს. ეს სახელწოდება სწორედ ასახავდა მაშინდელი გონიას მიდამოებს — ციხე-ქალაქი ჭოროხის მეორე შტოს შესართავთან იყო აშენებული. იგი ლაზეთის სამეფოს ჭოროხის შესართავის მარცხენა მხარეს მოსაღოდნელი საფრთხისაგან იცავდა.

ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე თავის „ანაბაზისში“ აღნიშნავს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 400 წელს სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთში ელინები ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდნენ ციხე-სიმაგრეებს, სადაც კოლხები შეუპოვრად იცავდნენ თავიანთ სუვერენიტეტს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პრაკოპი კესარიელის (მე-6 საუკუნე) ცნობით, აფსარს, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-ქალაქს, გარშემო უვლიდა მრავალი კედელი, ჰქონდა საკუთარი თეატრი და ჰიპოდრომი და ქალაქისათვის დამახასიათებელი ბევრი სხვა ნაგებობა.

მე-11–12 საუკუნეებში ძველი აფსარი გონიას სახელწოდებით იხსენიება. ეს ციხე-ქალაქი მე-16 საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე ინარჩუნებდა თავის ეკონომიურ და კულტურულ, აგრეთვე სამხედრო-სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ მნიშვნელობას.

გონიას ციხე პირველ რიგში თავისი მასშტაბურობით იქცევს ყურადღებას. ბარის ძეგლებს შორის იგი ყველაზე დიდია საქართველოში. შესაბამისად დიდია მის მიმართ როგორც მეცნიერული, ისე საერთო სამოგადოებრივი ინტერესი. მიმდინარეობს ძეგლის შიგნითა ტერიტორიის არქეოლოგიური გათხრები.

ჩვენი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში ციხე პეტრა მიუდგომელ სიმაგრედ ითვლებოდა და ლაზიკის სამეფოს სტრატეგიულ ჰუნქტებს შორის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა.

აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პეტრას როგორც სტრატეგიულს, ისე ეკონომიური თვალსაზრისითაც. იგი წერდა: „პეტრამ დასავლეთ საქართველოში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც ადმოსავლეთში თბილისმა. ბიზანტიური წყაროებით „პეტრა ლაზიკაში ქალაქია კოლხეთში... თეატრი მეფემ გარეშეულისა და სხვა მინაშენების სამაგალით გაამაგრა და ყოველმხრივ გაამშვენიერა კიდეც“.

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელყო, რომ აქ მე-6 საუკუნიდან იყო საეპისკოპოსო კათედრალი და პეტრა წარმოადგენდა ლაზეთის საეკლესიო ცენტრს.


პეტრას ციხე-სიმაგრეს მეცხრამეტე საუკუნეშიც არ დაუკარგავს სტრატეგიული მნიშვნელობა. რუსეთ-თურქეთის ომების დროს პეტრა ითვლებოდა ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამფითეატრად.

მუდმივმა ომებმა და თარეშმა პეტრას შესახებ არსებული ბევრი ისტორიული წყარო მოსპო და გაანადგურა. არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პეტრა მჭიდროდ დასახლებული ადგილი ყოფილა. დასტურდება პეტრას მჭიდრო ურთიერთობა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მეზობელ ქვეყნებთან და ხალხებთან.

იშვიათ სუროთმოძღვრულ ძეგლს სხალთის ტაძარს საპატრიო ადგილი უჭირავს ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების შორის. მკვლევართა ერთი ნაწილი ტაძრის აშენებას ხუროთმოძღვრების აყვავების ხანას — მე-10–12 საუკუნეებს მიაწერს, სხვა ცნობებით ტაძარი მე-13 საუკუნის ძეგლად არის მიჩნეული. სხალთა თავის დროზე ერთ-ერთი დიდი დასახლებული ადგილი უნდა ყოფილიყო აჭარასა და არტაანს შორის უმოკლეს გზაზე. ამის თქმის უფლებას გვაძლევს აქ ასეთი დიდი მოცულობის ტაძრის აგება, რაც მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ეკონომიური ძლიერებითა და სულიერი მოთხოვნილებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. ტაძრის ეზოში არის მცირე ეკლესიის შენობის საძირკვლის ნაშთები. ესეც იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის ზრდის პარალელურად მცირე ეკლესია შეიცვალა ხუროთმოძღვრების ახალი მიღწევებით შემკული ტაძრით. აქვეა მარანი, და საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის სავა ნაგებობათა ნაშთები.

ჯაჭარაში მრავლად არის შენახული მატერიალური კულტურის უმშვენიერესი ძეგლები, ეგრეთ წოდებული თაღიანი ხიდები, რომელთაც საუკუნეების მანძილზე გაუძლეს ყოველგვარ ქარიშხალს და დღესაც კი ხიდებად იყენებენ. ტექნიკურად მაღალხარისხოვანი ქვის ხიდები აჭარაში დიდი სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის გზების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ხალსური ტრადიცია ჩვეულებრივ მათ აშენებას საქართველოს ძლიერების ხანას — ჯანიერის ეპოქას უკავშირებს. რა თქმა უნდა, მსგავსი არქიტექტურული ძეგლები საქართველოში შენდებოდა როგორც თამარის ეპოქამდე, ისე მომდევნო პერიოდშიც.

ჯემალ ჩხეიძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი



სურათზე: თაღოვანი ხიდი სოფელ მახუნცეთში.
ნიკოლოზ ოსაძის ფოტო



თენგიზ მაქაცარია

ორი კაპიტანი

ვახტანგ ჩხაიძეს ვეებერთელა უკიდეგანო ოკეანე დაესიზმრა. „ძერჟინსკი“ მორიგ რეისში მიჰყავდა. მერე „საქართველო“ დალანდა ვითომ. იქ კაპიტნის ხიდურაზე მისი მეგობარი თენგიზ მაქაცარია იდგა და ხელს უქნევდა...

ვახტანგმა გამოიღვიძა და მთელი ღამე თეთრად გაათენა. მის ფიქრებში კინოკადრებივით გაიელვა განვლილმა ცხოვრებამ.

ამ ადამიანებმა, ახლა შორეული ცურვის კაპიტნებს რომ ეძახიან და ზღვებსა და ოკეანეებს სერავენ, ჭაბუკობისას ბათუმის საზღვაო სასწავლებელი დაამთავრეს. აქ სწავლობდნენ ურმობისდროიდელი მეგობრებიც — თენგიზ მაქაცარია და ვახტანგ ჩხაიძე.

ახლა ვახტანგი მეგობარზე ფიქრობდა, უანგარო ვაჟკაც მეზღვაურზე, რომლის ხანმოკლე სიცოცხლე მოლანდებას ჰგავდა, მაგრამ მაინც რა ზღაპრული იყო ამ ადამიანის თითოეული დღე. ისე იცოცხლა, ერთი კი არა, ათი ცხოვრება მოათავა, და მაინც უღვთო იყო მისი სიკვდილი.

როგორ უხაროდათ ერთმანეთის ნახვა. 1963 წელს ინდოეთის ოკეანეში ორი საბჭოთა გემი — „ძერჟინსკი“ და „საქართველო“ ერთმანეთს შეხვდა. კაპიტნებმა კინოფილმების გაცვლა მოიმიზეზეს და... ერთიმეორეს ჩაეხვივნენ ბათუმელი ვაჟკაცები.

ვახტანგს ახლა მეგობრის მშობლები გაახსენდა.

როდესაც „საქართველო“ ბათუმის ნავსადგურში შემოდიოდა, კაპიტანმა თენგიზ მაქაცარიამ იცოდა, რომ იქ დედა ელოდა. საყვირით ესალმებოდა მშობელსა და მეგობრებს. ნაპირზე ჯერ დედას გადაეხვეოდა და მერე მეგობრებს, რომლებიც ძალიან ბევრი ჰყავდა.

თენგიზს ხშირად ეუბნებოდნენ: კაციც შენა ხარ და ქუდიც შენა გხურავსო. ეს მარტო სადღეგრძელოში როდი ითქმებოდა. მეგობრებმა იცოდნენ, რომ თენგიზი გამორჩეული იყო როგორც ადამიანი და როგორც კაპიტანი.

მან ერთ-ერთმა პირველმა გაავლო საზღვაო კურსი კუბისაკენ.

„საქართველოს“ ჩასვლას ჰავანაში ყოველთვის მოუთმენლად და სიხარულით ელოდნენ. თენგიზ მაქაცარია ჰავანის საპატიო მოქალაქე იყო და მას კარგად იცნობდნენ ფიდელ კასტრო და მისი თანამებრძოლები, კუბელი ქალიშვილები და ჭაბუკები. იცნობდნენ როგორც მეგობარს, თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხისათვის მზრუნველ საბჭოთა კაპიტანს.

ვახტანგმა გაიხსენა: თენგიზს ერთხელ კუბელი ახალგაზრდები მოჰყავდა სასწავლებლად საბჭოთა კავშირში. მათ შორის ერთი შეყვარებულთა წყვილიც იყო. „საქართველოს“ კაპიტანმა ახალგაზრდებს ქორწილი გადაუხადა. საჩუქრებზეც თვითონ იზრუნა. ახლა ის კუბელები ბედნიერი ცოლ-ქმარნი არიან და, ალბათ, არასდროს დავიწყებათ ქართველი კაპიტანი.

თენგიზი ლენინის ორდენის კავალერი იყო და „საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის საუკეთესო კაპიტნის“ წოდებას ატარებდა.

ლეგენდარული ბედის კაცი იყო თენგიზი, მაგრამ არასდროს მიუჩნევია თავი განსაკუთრებულ ადამიანად. მასზე ბევრი დაწერილა, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ სუსტი ანარეკლია მისი დიდი, ლამაზი ცხოვრებისა. ამაში თვითონაც იყო დამნაშავე. არ უყვარდა თავისთავზე ლაპარაკი. მე ცუდი მთხრობელი ვარო, — უთხრა მან ერთხელ ჟურნალისტებს, — მთელი ჩემი ბიოგრაფია ქალალდის ერთ გვერდს მოიცავს. შეგიძლიათ მას სანაოსნოს კადრების განყოფილებაში გაეცნოთო.

და უცებ ამ კლდესავით უდრეკ კაცს ავადმყოფობამ დარია ხელი. თვეების განმავლობაში იგი საოცარი შეუპოვრობითა და სიმამაცით ებრძოდა სიკვდილს. საოკეანო ტანკერის „საქართველოს“ კაპიტნის ხიდურაზე მის ადგილს არავინ იჭერდა. ყველას წარმოუდგენლად მიაჩნდა, რომ თენგიზი არასდროს დაუბრუნდებოდა ზღვას.

„უნდა გითხრათ, რომ შტორმი არ მიყვარს. თუ ოდესმე ვინმე გეტყვით, რომ იგი მოსწონს, არ დაუჯეროთ, მაგრამ ახლა, როდესაც ავად ვარ, ყალყზე შემდგარი ტალღების ყურება მამშვიდებს. ვფიქრობ, ზღვას ისევ დავუბრუნდები“ — ამბობდა თვითონაც.

39 წლის ასაკში შეწყდა სახელმოხვეჭილი, დიდებული ქართველი კაპიტნის სიცოცხლე. უზომოდ დაამწუხრა მეგობრები და შავები ჩააცვა დედას. შვილზე დარდმა მოტეხა მამა. მას შემდეგ სამი წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში თენგიზის მშობლიურ ბათუმში თავი მოიყარეს ქართველმა მეზღვაურებმა. ახლა ისინი საქართველოს სანაოსნოში მუშაობენ. ამ სანაოსნომ, რომელსაც სათავეში ცნობილი ქართველი ზღვაოსანი ანატოლ კაჭარავა უდგას და, რომლის მარჯვენა ხელია შორეული ცურვის კაპიტანი ვახტანგ ჩხაიძე, სახელი და დიდება მოიხვეჭა. ყველანი იმ აზრისანი არიან, თენგიზი რომ ჰყოლოდათ, უფრო ძლიერნი და სახელოვანნი იქნებოდნენ.

ვახტანგ ჩხაიძეს კი ზღვა ეძახის და მშვიდად ცხოვრება აღარ შეუძლია. — სამმართველოს უჩემოდაც არაფერი გაუჭირდება. მართალია, ცოლ-შვილში ყოველდღე ვერ ვიქნები, მაგრამ მეზღვაურის მოუსვენარი ცხოვრება მირჩევნია მშვიდად და უდრტვინველად გატარებულ წუთისოფელსო.

ზღვა ეძახის კაპიტანს და ამიტომ ესიზმრება ხოლმე უზომოდ შეყვარებული მეგობარი, ვეებერთელა, უკიდეგანო ზღვები და ოკეანეები.

სულ ახლახან შორეული ცურვის კაპიტანმა აისრულა კიდეც წადილი. იგი საქართველოს სანაოსნოს ახალი ტანკერის „ბათუმის“ კაპიტნად დაინიშნა და ამ დღეებში იუგოსლავიაში გაფრინდა გემის მისაღებად.

„ბათუმი“ სექტემბერში მოადგება საქართველოს.

ჯემალ ჟურხული



ვახტანგ ჩხაიძე

დაეწერ, რომ კარგი ბიჭები ხართ...

შუახნის ჭაღარა, ბრგე მამაკაცმა დაკვირვებით შემომხედა და დიახ, ბათუმის სახელმწიფო თევზჭერის ბაზის დირექტორი შალვა იოსელიანი გახლავართო, მითხრა.

— მეთევზეებზე უნდა დავწერო. მინდა სეინერს წავყვე ზღვაში და თქვენი დახმარება მჭირდება-მეთქი.

— სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროთო.

დავღონდი. ვიდრე ამ პროცედურას მოვრჩებოდი, სეინერები შუა ზღვაში იქნებოდნენ.

ჯანმრთელი ვარ-მეთქი, ბატონო, ისე ვთხოვე, გული მოვულბე. შემდეგ მდივანს მიმართვა გაამზადებინა და № 11 სეინერის კაპიტანს სერგო ქირიას გამოვეცხადე.

...ზღვა იყო წყნარი და ლურჯად მოლივლივე. ცხელოდა. მეთევზეები საბანაო მოკლე შარვლების ამარა დარჩნენ. მეც მათ მივბაძე. ამასობაში შორს გავედით, ზღვაურმაც დაუბერა და ყველამ თავისი საქმე გაიჩინა.

კაპიტანი საჭესთან იდგა. სპეციალურ ხელსაწყოს ჩაჰკირკიტებდა, რომელიც თევზის ქარავნის რაოდენობასა და სიღრმეს აჩვენებს. ეს პატარა ქარავანია, ამაზე ბადის გაშლა არა ღირსო, ამბობდა და შორს შედიოდა.

— საერთოდ, ახლა თევზი ცოტაა, — ჩაერია საუბარში უფროსი მეთევზე ჯონდო გიგაშვილი. ზამთარში და ადრეულ გაზაფხულზე უნდა ნახოთ, ზოგჯერ ბადეებს გვიხევს ქარავანი.

— ეჰ, ჩემო ჯონდო. მე ზამთარი და ზაფხული არ ვიცი, თევზი დაიჭირეთ, თორემ რეპორტაჟი დასაწერი დამრჩება-მეთქი, — ვფიქრობდი და ხელსაწყოს სერგო ქირიაზე ნაკლები გულმოდგინებით როდი ვუკირკიტებდი.

ნახევარი საათის შემდეგ კაპიტანმა ბადის მუცლის ნიშანი ბრძანა. ისევ დატრიალდა ჯალამბარი. ბადე ახლა იკეცებოდა. გემბანზე ჯერ თითო-თითოდ ცვიოდა თევზი, მერე კი, როცა ბადე შუაწელიდან დაიწურა, ნიაღვარივით წამოვიდა და ტონობით დაზვავდა.

ყველაფერი მომწონდა: მეთევზეების სიმარჯვე და საქმის ცოდნა, იცოდნენ, რა წუთს რა უნდა ეკეთებინათ. ასე უცებ ამდენი თევზის დაჭერამაც გამაოცა და როგორ გამიკვირდა, როდესაც თვითონ მეთევზეები უკმაყოფილო იყვნენ, ცოტა დავიჭირეთო.

ბევრი რამდენიღა არის-მეთქი, — ვკითხე. ან ჩვენი გემძირედები უნდა გაივსოს, 40-50 ტონა მაინც უნდა მიგვჭონდეს შინო, მითხრეს. მერე თევზი დაახარისხეს, გემბანი მიალაგეს და კურსი ბათუმისაკენ ავიღეთ.

საჭესთან მე დამაყენეს. პატივი დამდეს, როგორც სტუმარს და მეგობარს, რომელსაც თურმე, მათ ნადავლშიც წილი მედო.

კარგა ხანს ვიარეთ. შორს თეთრად გამოჩნდა ბათუმის ნავსადგური. ოდნავ მარცხნივ შემოაბრუნე და პირდაპირ წადიო, — მითხრა კაპიტანმა.

შავი ზღვის საღამო იდგა. თბილი და ნოტიო. სულ ახლოს იყო ნავსადგური. ზოგი სეინერი უკვე დაბრუნებულიყო და ღუზაზე იდგა. სერგო იღიმებოდა. თუმცა საჭეს ხელიდან არ მართმევდა, მაგრამ ვიცოდი, რასაც ფიქრობდა — ორი საათის ბოცმანი სეინერს აბა როგორ შევიყვანდი ნავსადგურში!

— ახლა შენ დადექი, — ვუთხარი სერგოს, — მე დაბლა ჩავალ, ჩავიცვამ.

ნაპირზე დიდი ამბით შეგვხვდნენ — ბარაქა თქვენს ნადავლსო, მუდამ ხელი მოგემართოთ, უფრო მეტი დაგეჭიროთო.

— კი მაგრამ, მაინც რას დაწერთ ჩვენზე? — მკითხეს გამომშვიდობებისას ახლად შეძენილმა მეგობრებმა.

დავწერ, რომ კარგი ბიჭები ხართ, კარგი ქართველები, ერთმანეთი ასე ძალიან გიყვართ და ყველანი ზღვას ეტრფით. დავწერ, რომ ჭაბუკობიდანვე ზღვას დაუკავშირდით, იგი გაცხოვრებთ და გახარებთ. უთუოდ იმასაც ვიტყვი, რომ № 11 სეინერი ყოველთვის უხვი ნადავლით ბრუნდება. სათქმელი ბევრი მაქვს, თუნდაც ის, რომ უკვე 600 ტონა თევზი დაგიჭერიათ. კიდევ 250 ტონაც და წლიურ გეგმას შეასრულებთ. თქვენთან გატარებულ ერთ ღამეზეც დავწერ...

აბა შენ იცი, ისე გამამხნევეს, თითქოს შტორმში მისტუმრებდნენ სათევზაოდ...

ლაშა გარეჯელი



სურათზე: სეინერის კაპიტანი სერგო ქირია

ნ ყ ლ ი ს ა თ ც ა რ ს ა მ უ ა რ ო ზ ე

ზღვის პირას, ბაღში ორსართულიანი შენობა დგას. აქ ყოველდღე უამრავი მნახველი მოდის. მათ შორის ბევრია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან თუ საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმარი. „აკვარიუმი“ — კითხულობენ წარწერებს და მიემართებიან ზღვის წყლით სავსე მინის აუზებისაკენ, რომლებშიც წყლის სამყაროს უამრავი წარმომადგენელი ბინადრობს.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ აქ მარტო აკვარიუმი როდია. „ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილება“ — ასე ჰქვია ამ დაწესებულებას, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ცნობილ სამეცნიერო ცენტრს, სადაც მრავალ საყურადღებო პრობლემაზე მუშაობენ. აქ შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს თვალსაჩინო მასალები — განყოფილების მატიანე. პატარა აკვარიუმები, ფიტულები, ოკეანის სიღრმლოების შემსწავლელთა საქმიანობის ამსახველი ფოტოსტენდები, აკვარიუმისა და დელფინარიუმის მაკეტები.

განყოფილებაში ექვსი ლაბორატორიაა: წყლის ტოქსიკოლოგიის, შიგა წყლების ჰიდრობიოლოგიის, სატბორო მეთევზეობის, ტექნოლოგიური და აკვარიუმი. განყოფილების მუშაკები დიდ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს ახორციელებენ როგორც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის, ისე საქართველოს შიგა წყლების შესასწავლად.

ზღვებისა და ოკეანეების დაცვა გაჭუჭყიანებისაგან, მეტადრე ნავთობპროდუქტებისაგან დღეს № 1 პრობლემაა. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე მსოფლიოს მრავალი მეცნიერი მუშაობს. წყლის გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებულ საკითხებს იკვლევს ჩვენი განყოფილების წყლის ტოქსიკოლოგიის ლაბორატორიაც. იგი სწავლობს ნავთობის ზემოქმედების შედეგებს თევზებზე, მოლუსკებზე, კიბოსნაირებზე, საერთოდ ზღვის ორგანიზმებზე.

და მაინც მრავალრიცხოვან მნახველთა ყურადღება აკვარიუმისაკენ არის მიპყრობილი.

ექსპერიმენტული და სადემონსტრაციო აკვარიუმის განყოფილება 1966 წელს გაიხსნა. იგი აუზების წყალტევადობით, თევზებისა და წყლის სხვა ცხოველთა ნაირსახეობით უდიდესია საბჭოთა კავშირში.

აკვარიუმის მობინადრეთა ცხოვრების პირობები მიახლოებულია ბუნებრივ პირობებთან. ამიტომ ზოგიერთი მათგანი მრავლდება კიდეც.

სადემონსტრაციო აკვარიუმში შავი ზღვის, მტკნარი წყლების, აგრეთვე სხვა ზღვებისა და ოკეანეების ბინადართა 100-მდე სახეობაა წარმოდგენილი. აქ შეიძლება ნახოთ შავი ზღვის ზვიგენი, ორაგული, კეფალი, სვია, ზღვის მამალი, ცხენთევზა, მდინარის გველთევზა, ზუთხები, ცისარტყელოვანი კალმახი, ჯობრი და მრავალი სხვა სახეობის თევზი.

აკვარიუმის იშვიათი ბინადარნი არიან შავი ზღვისა და წყნარი ოკეანის უხერხემლო ცხოველები, მიდიები, ზღვის ვარსკვლავები, ზღვის ზღარბები.

ჩვენს ქვეყანაში ბათუმის აკვარიუმი პირველია, სადაც წარმოდგენილია წყნარი ოკეანის ჩრდილოეთი ნაწილის ფარფლებიანი ძუძუმწოვარა ცხოველები — ძვირფასბეწვიანი ზღვის კატები და კასპიის ზღვის სელაპები. მნახველებს აოცებთ ინდოეთის ოკეანის ბინადარი — გიგანტური კუ, ეგრეთ წოდებული „ცრუ კარეტა“, რომლის ყველაზე დიდი წარმომადგენელი ბათუმის აკვარიუმში 100 კილოგრამამდე იწონის.

ახლო მომავალში გათვალისწინებულია ბათუმის აკვარიუმის გაფართოება. აკვარიუმის ახლოს შენდება დელფინარიუმი. მისი დამთავრების შემდეგ საგრძნობლად გაიზრდება ექსპერიმენტული ბაზა, კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება სადემონსტრაციო განყოფილება.

ნანული დიასამიძე,
ზღვის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი

საბჭოთა აჭარა

ალბათ, გახსოვთ, წლეულს, 9 აპრილს, „საბჭოთა აჭარა“ მე-7 ნომერში გამოქვეყნდა სია 28 ქართველი პარტიზანისა, რომლებიც იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის მხარდამხარ იბრძოდნენ. ამ სიაში პირველი წერია ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი ბათუმელია. აქ შრომობს და ცხოვრობს, ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

გთავაზობთ იმ ქარიშხლიანი დღეების მის რამდენსამე მოგონებას.



● ეს სურათი გადაღებულია 1945 წლის მაისში, ქალაქ ნოვარის განთავისუფლების დროს. შუაში — ათასეულის მეთაური ედო დელ გრატა; მარცხნივ — ნიკოლოზ ვაჩეიშვილი („ნიკოლა“).

1942 წელი. სევასტოპოლში ცხარე ბრძოლებია. ფეხში დაჭრილი გერმანელებს ტყვედ ჩავუვარდი. თავდაპირველად სიმფეროპოლის ტყვეთა ბანაკში ვიყავი. მერე საბარგო მატარებლით გერმანიაში ჩაგვიყვანეს და 1943 წლის ზაფხულში იტალიაში ამოგვაყოფინეს თავი.

1944 წელს მთელი ჩრდილოეთი იტალია პარტიზანულმა მოძრაობამ მოიცვა. ტყვეთა ბანაკიც იმედი ღვივდებოდა და აი სექტემბრის ერთ საღამოს მოვახერხეთ ბანაკიდან გაქცევა. მეგზური დანიშნულ ადგილზე დაგვხვდა და „პეპინოს“ ათასეულში მიგვიყვანა. 70-მდე ქართველი სხვადასხვა ასეულში მოვხვდით. ჩვენი ასეულის მეთაური ედო დელ გრატა იყო.

ქართველები აქ უფრო დამეგობრდით. ფორე მოსულიშვილსაც ბრძოლებში დავუახლოვდი. კარგი ვაჟკაცი იყო, მეგობრობაშიც ერთგული და საიმედო, გერმანელთა ბანაკიდან ჩვენი გაქცევის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და ორგანიზატორი. მისი გმირულად დაღუპვის ამბავი მეორე დღესვე შევიტყეთ. გავიგეთ, რომ ქართველმა მებრძოლმა ტყვეობას ვაჟკაცური სიკვდილი ამჯობინა. ვერ გეტყვით, მაშინ ჩვენში რომელი გრძნობა სჭარბობდა, მწუხარება საყვარელი მეგობრის დაკარგვის გამო თუ სიამაყე, რომ ასეთი თანამებრძოლე გვყავდა.

საბრძოლო შეტაკებები ყოველდღიურად თუ არა, დღეგამოშვებით მაინც გვქონდა. ანგარიშს ვუსწორებდით მტერს და ვგრძნობდით, რომ გერმანელთა პარპაშს სულ მალე ბოლო მოეღებოდა. მრავალთაგან მე მაინც სამი მწარე საბრძოლო ეპიზოდი დამახსომდა. მაშინ დავკარგე ჩემი ქართველი მეგობრები.

1944 წლის დეკემბერში ცნობა მივიღეთ, რომ ერთ სოფელთან გერმანელ გენერალს უნდა გაევლო. ჩვენი ოცეული გზის პირას ჩასაფრდა და მტერს დაველოდეთ. ჩემს გვერდით იყვნენ ირალა გობეჯიშვილი და სიკო თათელაძე.

ნაშუადღევს მართლაც გამოჩნდა ერთი შსუბუქი და ჯარისკაცებით სავსე სამი სატვირთო მანქანა. ცეცხლი დავუშინეთ თუ არა, გერმანელები ჯერ აირივნენ, შემდეგ მაინც მოასწრეს ზღუდეების დაჭერა და ცეცხლზე ცეცხლით გვიპასუხეს. მტერი კი გავანახევრეთ, მაგრამ გენერალმა მოახერხა გაქცევა. ამ შეტაკებაში სახიკვდილოდ დაიჭრა სიკო თათელაძე. გულისჯიბიდან საბუთები ამოვუღე — არ მინდოდა გერმანელებს მისი ვინაობა გაეგოთ, ისინი მკვდარსაც კი მიაყენებდნენ შეურაცხყოფას... სოფელ კასტელეტის მეუღლეს გულსისის ეზოში დასაფლავებინა იგი. პარტიზანებმა მესამე დღეს ვინახულეთ მეგობრის საფლავი.

1945 წლის თებერვალში ჩვენკენ გერმანელთა დივიზია დაიძრა. ისინი ფრონტზე მიდიოდნენ, მაგრამ მანამდე ჩვენი განადგურება განიზრახეს. ეს მათი მხრივ გონივრული ნაბიჯი იყო, რადგან ჩვენ ძალიან ვაფერხებდით გერმანული ნაწილებისა და მათი სამხედრო ტექნიკის მოძრაობას. მაგრამ ჩვენც გვქონდა მიზანი: რაც შეიძლებოდა დაგვეზარალებინა ეს დივიზია. მოხდა პირდაპირი შეტაკებები. აქ ჩემს გვერდით დაიღუპა თბილისელი ბიჭი ნიკო სოფრომაძე.

პარტიზანებმა ქალაქ ბორგოსეზიაში, ჩვენი დივიზიის მეთაურის ჩინო მოსკატელის სამშობლოში გადავინაცვლეთ და ახლა იქ შევებით მტერს. მარტის პირველ რიცხვებში ჩვენ ვუტევდით, გერმანელები თავს იცავდნენ. პარტიზანთა სპეციალურმა ჯგუფმა ხიდის აფეთქება ვერ მოასწრო. მტერს მაშველი ძალა მოუვიდა და ამ დროს დაიღუპა ზუგდიდელი ვაჟკაცი მეგონა ღურწკაია...

ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე მწარე და ამტომ ყველაზე დასამახსოვრებელი დღეები. მალე ომი დამთავრდა კიდეც. მიმოვიფანტენ იტალიელი და ქართველი პარტიზანები. ვინ იცის, სად არიან ახლა და რას აკეთებენ ჩემი თანამებრძოლები და მეგობრები, ან ვახსოვარ კი? მაგრამ, ალბათ, როდესაც იმ ქარიშხლიან დღეებს გაიხსენებენ, ნებით თუ უნებლიეთ მეც მოვაგონდები. ბოლოს და ბოლოს, ერთად ვჭამდით მაშინ სიმწრის ლუკმას, ერთად ვიბრძოდით...

და რომ მკითხონ, კოლია ვაჩეიშვილო, ყველაზე ძალიან რა გახარებსო დღეს, ვიტყოდი: მახარებს ის, რომ სამშობლო არ ივიწყებს და სახელით, დიდებით მოსავს მისთვის თავგანწირულ ადამიანებს.

„ბავშვთა სამოთხე“

ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი და ბათუმელი ნორჩების უსაყვარლესი ადგილია პიონერთა და მოსწავლეთა პარკი, რომელიც ქალაქთა ყვავილების ფლორაშია ჩასმული. მისი დაბადების თარიღი 1933 წელი გახლავთ, ადრე არხებული ჭალაჭის ბაღი პიონერთა და მოსწავლეთა პარკად გადაკეთდა და მას დიდი ლენინის სახელი მიენიჭა.

პიონერთა პარკის შესასვლელი დაამშვენა ჯოლონადებმა. აშენდა საზაფხულო თეატრი, გაიწმინდა ტბა. ბაღის ფართობი 18 ჰექტარამდე გადიდდა, დაირგო სხვადასხვა ჯიშის მცენარეები.

პარკის ბეიერები დამშვენდა პირველი აჭარელი ფრინავი ქალის ფადიშე გოგიტიძის, პირველი აჭარელი საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავ ისრაფილ ჯინჭარაძისა და საბჭოთა კავშირის გმირის ზოია კოსმოდემიანსკაიას ბიუსტებით.

1946 წელს ბაღის ტბის ტალღებში შეცურდა თბომავალი „პიონერი“, ხოლო 1960 წელს ბათუმის გემმშენებლებმა ბათუმელ ნორჩებს აუგეს ამავე სახელწოდების გემი.

თბომავალი „პიონერის“ ეკიპაჟი — ნორჩი მეზღვაურები ეუფლებიან საზღვაო საქმეს. ბავშვების განკარგულებაშია აგრეთვე ბაიდარები, სწრაფმავალი ნავი, წყლის თხილამურები.

ბათუმში იშვიათად ჩამოვა სტუმარი, პიონერთა პარკს რომ არ ეწვიოს. ფრანგმა ტურისტებმა, რომლებიც მოიხიბლნენ პარკის სილამაზითა და ბავშვების საქმიანობით, პარკს „ბავშვთა სამოთხე“ შეარქვეს.

პოლონელმა პუბლიცისტმა ლუბომირ რუბახინ კი შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „პიონერთა პარკი დასვენებისა და შემოქმედების სიმბოლოა, ბავშვები აქ სწავლობენ ადამიანებისა და ბუნების სიყვარულს, ავლენენ ნიჭს, მომავალი ცხოვრებისათვის ემზადებიან, დიდი ყურადღება ექცევა ესთეტიკური გრძნობების გამომუშავებას“.

კარგად არის ცნობილი პიონერთა პარკთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „გაზაფხული“, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობენ ენვერ ხაბაძე, ზაურ ლაზიშვილი, ციალა ჩიჩუა. ანსამბლის გამოსვლებით მოხიბლულან თბილისის, ბაქოს, კიევის, რიგის, ლენინგრადის, მოსკოვის მაყურებლები.

პარკის ზოოლოგიური კუთხე, რომელსაც ბათუმელი მოსწავლეებისათვის დიდი სასწავლო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ნორჩ ნატურალისტთა მზრუნველობის ობიექტია. აქ ისინი ეცნობიან ცხოველთა სამყაროს, მათ გამრავლებას, უვლიან მცენარეებს.

პარკში მუშაობს პიონერული თეატრი, ჭადრაკის კლუბი.

ზაფხულობით პარკში ყოველწლიურად ეწყობა პიონერული ბანაკები, სადაც 300-ზე მეტი ბავშვი ისვენებს.


პიონერები უშვებენ ხელნაწერ ჟურნალ „ცისარტყელას“, რომელსაც ხელმძღვანელობს მწერალი ნესტორ მალაზონია.

ამჟამად ბავშვების ეს საყვარელი კერა თავისი არსებობის 40 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება.

რევაზ ბოლქვაძე,
პიონერთა და მოსწავლეთა პარკის დირექტორი, აჭარის ახსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.



●● ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი




■ აჭარის ავტონომიურ სოციალისტურ რესპუბლიკაში ამჟამად 250 ათასამდე კაცი ცხოვრობს, ხოლო მისი დედაქალაქის — ბათუმის მცხოვრებთა რაოდენობამ 101 ათასს გადააჭარბა.

ბათუმის მარკით

ბევრ ქვეყანაში კარგად არის ცნობილი ბათუმის გემსაშენი ქარხნის პროდუქცია — „ვოლგის“ ტიპის წყალქვეშაფრთიანი კატარღა. ამ სწრაფი, კომფორტული, ლამაზი კატარღის მშენებლობის პიონერები ბათუმელი გემმშენებლები არიან. ბათუმური კატარღები გაიგზავნა მსოფლიოს ოცზე მეტ ქვეყანაში. წარდგენილი იყო ცამეტ საერთაშორისო ბაზრობაზე და საყოველთაო აღიარება პოვა. ახლა ისინი სერავენ არაბეთის, კუბის, აფრიკისა და სხვა ქვეყნების წყლებს. უკანასკნელ დროს ქარხანამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის რამდენიმე ფირმის დიდი დაკვეთა მიიღო.

სურათზე: წყალქვეშაფრთიანი კატარღა ბათუმის ნავსადგურში.



მწოლოდ ბათუმში

თითქმის 60 ჰექტარზე გადაჭიმულა ბამბუკის პლანტაცია ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში. დღეში რამდენიმე სანტიმეტრით იზრდებიან ეს საოცარი ხეები. აქ შეხვდებით ბამბუკის ბევრნაირ ჯიშს, მათგან ყველაზე ლამაზი და ძვირფასია მსხვილი, გამძლე სახეობის „მოსო“. ბათუმის საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკაში, რომელიც ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, ბამბუკისაგან მრავალნაირ ავეჯს, ინვენტარსა და სამახსოვროს ამზადებენ.



აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

ბათუმი. 2 ივლისი (საქდესი). აქ გაიმართა აჭარის ასსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა ერთ-ერთმა უხუცესმა დეპუტატმა, ჭობულეთის რაიონის სოფელ ჭაჭუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჯუმბერ აბდუშელიძემ.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატებმა ერთხმად აირჩიეს მერაბ ჭაჯაია, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი.

სესიამ აირჩია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები და დაამტკიცა ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი.

სესიამ შემდეგ აირჩია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს დეპუტატი დავით დიასამიძე, მდივნად — ნინო ხახუტაშვილი.

სესიამ შექმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ლევან დავითაძე.

შემდეგ მოისმინეს ლევან დავითაძის მოხსენება „ავტონომიური რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

განხილულ საკითხებზე სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სპორტი

პირველი სპორტული საზოგადოება აჭარაში ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ჩამოყალიბდა და მას „შევარდენი“ ეწოდა. „შევარდენს“ სათავეში ცნობილი ქართველი სპორტსმენი და საზოგადო მოღვაწე დავით ჯავრიშვილი ჩაუდგა. ეს იყო დასაწყისი. წლიდან წლამდე მზიურ აჭარაში იზრდებოდნენ მაღალი კლასის სპორტსმენები, რომლებიც ღირსეულად იცავდნენ და იცავენ ქართული სპორტის დიდებას საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

მეორე მსოფლიო ომამდე ფართო პოპულარობით სარგებლობდნენ ბათუმელი ფეხბურთელები, რომლებსაც არაერთი საკავშირო და საერთაშორისო მატჩი მოუგიათ და ლამაზი, კომბინაციური თამაშით ფეხბურთის მოყვარულთა სიმპათიები დაუმსახურებიათ. ბათუმელ ფეხბურთელებს — ალექსანდრე ელიავას, იბრაჰიმ სარჯველაძეს, ბორის ფროლოვს, გენადი მენაბდეს, ანზორ კვაჭაძეს, ვახტანგ ქორიძეს, ჰარი ქიქავას, ანზორ კავაზაშვილსა და ბევრ სხვას მრავალგზის უსახელებიათ ქართული საფეხბურთო სკოლა.

ბათუმელ ფეხბურთელთა კარგი ტრადიციები დღესაც გრძელდება. ისინი საკავშირო პირველობის გათამაშების „ა“ კლასის მეორე ჯგუფში მონაწილეობენ და უნდა ითქვას, სასახელოდაც.


აჭარა სამართლიანად ამაყობს სახელოვანი სპორტსმენებით, ისეთებით, როგორიც არის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი როსტომ აბაშიძე, ევროპის პირველობის პრიზიორი და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში დავით გვანცელაძე, ევროპის ჩემპიონი ცურვაში ალბერტ ანტონიანი, მაგიდის ჩოგბურთელები — ევროპის ჩემპიონები სარგის სარხოიანი და ჩვენი ქვეყნის პირველობის პრიზიორი სამიელა პარფინიდი, საქართველოს ათგზის ჩემპიონი ტრეკზე რბოლაში ომარ ნიშნიანიძე, მოცურავეები — ევროპის პირველობის პრიზიორი ვიქტორ კრასკო, საქართველოს ჩემპიონები და რეკორდსმენები თინა დოლიძე, ელენე სედიკინა და მარინე გორბუნოვა.

რუსუდან სიხარულიძე! ამ ნორჩ ტანმოვარჯიშეს კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მოიპოვა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება სპორტულ ტანვარჯიშში. შემდეგ წარმატებით გამოდიოდა საკავშირო სარბიელზე. თავი ისახელა ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, უნგრეთში, იუგოსლავიაში და ბევრ სხვა საერთაშორისო შეჯიბრებაზე.

გაზაფხულზე რუსუდანი წარმატებით გამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე. ბათუმელმა გოგონამ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის მოსკოველი ლუდმილა ტურიშჩევას შემდეგ მეორე ადგილი დაისაკუთრა.

ლევან ქავშარაძე,
სსრ კავშირის სპორტის ოსტატი.

მობურთალსა მოელანი...



სურათზე: საქართველოს უძლიერესი ტანმოვარჯიშე რუსუდან სიხარულიძე.

ანზორ ჩანტლაძის ფოტო.

გაუმარჯოს სპორტს!

სპორტი მიყვარს-მეთქი, რომ ვთქვა, ამით ვერავის გავაკვირვებ. მე კი არა, მთელ შეგნებულ კაცობრიობას უყვარს სპორტი. სპორტი სიცოცხლეა. ჭეშმარიტად სპორტი რომ არ ყოფილიყო, არც ჭეშმარიტება იქნებოდა და მაშასადამე, არ ვიქნებოდით ჩვენც, გულშემატკივრები.

მოკლედ, სპორტი ყველას უყვარს, მაგრამ ჩემი სიყვარული მაინც განსაკუთრებულია, ღრმად ინდივიდუალური და განუმეორებელი.

იკითხავთ, რომელი სახე მიტაცებს. ყველა, მაგრამ მათგან ერთი პირდაპირ ჭკუას მაკარგვინებს. ეს არის ფეხბურთი, რომელიც ჩემს გასამწარებლად გააჩინა ღმერთმა. აბა, ვინ უნდა აღწეროს, რაც მე თბილისის დინამოელებისათვის გულისხმეთქმა მაქვს გადატანილი მაგათ შევალიე ჩემი ახალგაზრდობა და ანდერძად ამას ვიბარებ: სიკვდილი თუ მიწერია, ისევ თბილისის „დინამო“ მომიღებს ბოლოს!

ერთადერთი ბიჭი მყავს ამ ქვეყანაზე, ვიფიქრე, რაც არის, არის, ფეხბურთს შევწირავ-მეთქი. მაგრამ ბედი რომ არ გვქნება კაცს! ფეხბურთის მაგივრად მაგიდის ჩოგბურთის თამაში დაიწყო.

ვიყვირე და გადავირიე. კარგი, უმაღლესში მოწყობა, ბინა და მანქანა არ გინდა, მაგრამ ქვეყანას რას ეუბნები, კოტრიკაძე ან მესხი რომ ალარა გვყავს, მათი შემცვლელი არ უნდა მოიძებნოს-მეთქი?!

გაეცინა. ეგრე თუ გული გტკივა, შენ გადი მოედანზე, მამაჩემო, და ითამაშეო!

როგორ არ გავალ და არ ვითამაშებ თბილისის „დინამოსთვის“, წყალშიც გადავვარდები, მაგრამ თმასავით გაცვენილ წლებს რა ვუყო, ან ეს ღიპი სად წავიღო, სასჯელად რომ ჩამომკიდა ღმერთმა.

მართლაც, ბედის დაცინვა არ არის, სპორტზე შეშლილ კაცს კუნთების მაგივრად ქონი გეკიდოს ტანზე!

რობერტ შავლაყაძე ასპირანტი იყო და ორ მეტრზე მაღლა დაფრინავდა, ვთქვი ჩემს თავზე გაბრაზებულმა, — აპოლონ. კვირიკაძევ, შენ, მართალია, მხოლოდ და მხოლოდ ბუღალტერი ხარ, მაგრამ ღმერთმა ისე როგორ დაგაგლაბავა, ერთ მეტრზეც ვერ გადახტები-მეთქი.

ხანდახან, დარდით გული რომ გამისივდება, მოვძებნი ჩემი ახალგაზრდობის სურათს და ვუყურებ აცრემლებული. რა ბიჭი ვიყავი: ჯალათბურთელის ტანი მჭონდა, ფეხბურთელის ფეხები, მოჭადრაკის თავი, გამოსვლით კი მხოლოდ ბუღალტერი გამოვედი.

წინათ კი ვიყავი რაღაცა, მაგრამ ახლა მომხარა წელში 45-მა წელმა და ას ხუთმა კილოგრამმა. შევეხვეწე ეჭიმს, კაცი ხარ ქვეყანაზე, მიშველე-მეთქი.

— სპორტი თუ გიყვარს? — მკითხა.

გული მომივიდა.

— მიყვარს კი არა, დამწყვარი ვარ მაგის სიყვარულით.

— დილით ვარჯიშობ?

— არა.

— არც საღამოს?

— არა, ბატონო.

— მოძრაობ, დარბიხარ?

— სამსახურში თუ მიგვიანდება, კი.

— კალათბურთს ან ფრენბურთს თამაშობ?

— როგორ გეკადრებათ!

— ეს არის, სპორტი მიყვარსო?!

— გაუკვირდა ეჭიმს.

— მე, ბატონო, სპორტის ყურება მიყვარს. რადიოში ყველა რეპორტაჟს ვუსმენ, „ლელოც“ გამოწერილი მაქვს და მეტი რა ვქნა ახლა?

— რა ქნა და ვარჯიში უნდა დაიწყო, — მირჩია ეჭიმმა, — არ ივარჯიშებ და ქონი შეგჭამს. მერე დაწვრილებით ამიხსნა, როგორ მოვქცეულიყავი, ერთი სიტყვით, გზაზე დამაყენა. მეც შევფიცე, ხვალიდან ვარჯიშს დავიწყებ-მეთქი.

შინ გახარებული დავბრუნდი.

— მაშ გადაწყდა, ხვალ დილიდან ახალ ცხოვრებას ვიწყებ. ძირს ღიპი, გაუმარჯოს სპორტს!

მეორე დღე როგორ გათენდა, არ გამიგია, რადგან ცოტა ნასვამი ვიყავი და შუადღისას გამომეღვიძა.

— არა უშავს, — დავიმშვიდე თავი, — ხვალ ორშაბათია და ისევ ხვალიდან დავიწყებ.

როცა „ხვალ“ გათენდა, გამახსენდა, რომ ოცდათერთმეტი რიცხვი იყო და აჯობებდა ვარჯიშს ახალი თვიდან შევდგომოდი.

მაგრამ ვერც ახალმა თვემ მიშველა. საქმე ის არის, რომ ზამთარი იყო, თოვდა და ცივი ქარი ქროდა.

— შორს ჩემგან თოვლი და სიცივე, — ვთქვი, — გაუმარჯოს გაზაფხულს, როცა ბუნება აყვავდება, ზღვა დათბება და აპოლონ კვირიკაძე ვარჯიშს დაიწყებს.

და აი მოფრინდა მერცხალი და ტყემლებიც აყვავდნენ.

— გაზაფხულზე მხოლოდ სიყვარული უნდა დაიწყოს კაცმა, — გამახსენდა — აი ზაფხული სულ სხვა ნამდვილად სპორტის სეზონია. დადება ზაფხულს, დიდება ზღვას და დიდება მზეს!

მოვიდა და წავიდა ზაფხული, მაგრამ იმდენი საქმე გამომიჩნდა, თავი არ ამიღია.

ახლა შემოდგომაა. ორმოცდაექვსი წელი შემისრულდა და სასწორზე შედგომისა მეშინია. დიახ, არ ვვარჯიშობ, მაგრამ ორიოდე თვეც გაირბენს, ახალი წელიწადი დადგება და ახალი წლიდან მეც დავიწყებ ახალ ცხოვრებას, გამოვინრთობი, კუნთებს გავიმაგრებ და ომახიანად შევძახებ ყველას გასაგონად ძირს ღიპი, გაუმარჯოს ვარჯიშს, დიდება სპორტს; რომელსაც ჩვენისთანა თაყვანისმცემლებიც ჰყავს!

ალექსანდრე სამსონია

დაგვძებენ, მოგვეხმიან

ნური მამუდის ძე ქათამაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ხელვაჩაურის (ყოფილი ბათუმის) რაიონის მახინჯაურის სასოფლო საბჭოს სოფელ ყარადერეში, ეძებენ დედა — **შაილდიზი,** და — **ნარგიზა,** ბიძაშვილი — **ისმაილ ქათამაძეები,** მცხოვრებნი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ განთიადში.

მიხეილ გიორგის ძე ჭანუყვაძეს,

დაბადებულს 1910 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში, ეძებენ შვილები — **ეთერ** და **თინა ჭანუყვაძეები,** მცხოვრებნი ბათუმში, ლიბკნეხტის ქუჩა № 42, ბინა 4.

მემედ ხასანის ძე ბერიძეს,

დაბადებულს 1920 წელს ქედის რაიონის სოფელ ზესოფელში, ეძებს მამა — **ხასან ბერიძე,** მცხოვრები ქედის რაიონის სოფელ ზვარში.

აკაკი გართლომეს ძე ყუფარაძეს,

დაბადებულს 1921 წელს ბათუმში, ეძებენ დედა — **პაშა,** მამა — **ბართლომე,** და — **ნინო,** დისწულები — **მერი** და **ვაჟა გვარჭალაძეები,** მცხოვრებნი ბათუმში, კამოს ქუჩა № 12.



ბათუმი. ოქტომბრის გამზირი

ხაჭაპური

ოთხი კვერცხი ცილიან-გულიანად გათქვიფეთ, 1-1/2 ჭიქა ცივი წყალი დაუმატეთ და იმდენი ფქვილი შეაზილეთ, რომ საშუალო სიმკვრივის ცომი გამოვიდეს. მოზელილი ცომი რვა თანაბარ ნაწილად გაყავით და კარგად გააბრტყილეთ (ტაფის ზომაზე). აადუღეთ წყალი ქვაბით და შიგ ჩაუშვით ცომის ნაწილები (სათითაოდ). წყალი წამოადუღეთ, ცომი ამოიღეთ, ცივი წყალი გადაავლეთ და ტაფაზე მოათავსეთ.

გაადნეთ 400 გრამი კარაქი, ტაფაზე მოთავსებულ ცომის ფენას კარგად წაუსვით, შემდეგ დაფშვნილი ყველი დააყარეთ. დააფარეთ მეორე ფენა, ისევ ერბო წაუსვით და ისევ ყველი დააყარეთ და ასე ბოლომდე. მერვე ფენას რომ დააფარებთ, გვერდები შემოუკეცეთ, ღუმელში შედგით და გამოაცხვეთ.

ქართული (აჭარული) სამზარეულო



კაიმაღი

ახლად ამოყვანილი ყველი (ხუთასი გრამი) დაფშვენით, უყავით მარილი (თქვენს გემოზე), აურიეთ, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელში, ზემოდან დაასხით ნაღები (ერთი ჩაის ჭიქა).

მოხრაკული ვარია

გასუფთავებული, გარეცხილი, საშუალო სიდიდის ვარია დაჭერით ასო-ასო, მოათავსეთ ქვაბში და მოშუშეთ. როცა წვენი შეუშრება, დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი ცხიმი, წვრილად დაჭრილი სამი-ოთხი თავი ხახვი და ერთად მოხრაკეთ. ხრაკვის დროს კვლავ ჩაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი ცხიმი. ათქვიფეთ სამი-ოთხი კვერცხი, შეაზავეთ თქვენს გემოზე მარილით და ძალიან წვრილად დაჭრილი ქინძით, დაასხით მოხრაკულ ვარიას, კარგად აურიეთ, ცეცხლზე გააჩერეთ კვერცხის შემზადებამდე.

შილაფლავი

გარეცხილი, დაჭრილი ცხვრის ხორცი (ხუთასი გრამი) მოათავსეთ ქვაბში და მოშუშეთ. შემდეგ ჩაყარეთ შიგ ერთი-ორი თავი დაჭრილი ხახვი, წვრილად დაკეპილი ორმოცდაათი გრამი ცხვრის ღუმა და მოხრაკეთ. ხრაკვის დროს უყავით თქვენს გემოზე მარილი, წვრილად დაჭრილი მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, ჭონდარი). ამავე დროს მარილით შეზავებულ მდუღარეწყლიან ქვაბში ნახევრად მოხარშეთ ბრინჯი, გადაიტანეთ თუშფალანგში და დაასხით ცივი წყალი. შემდეგ ბრინჯი მოათავსეთ მოხრაკულ ხორციან ქვაბში, დაასხით ცოტა მდუღარე და ხუფდახურული ხარშეთ ნელ ცეცხლზე. ბრინჯის შემზადებამდე (ხანგამოშვებით მოურიეთ).

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.